# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 ივნისი 2005 №138 (2461) ფასი 50 თეთრი




უბრალოდ დალმა

ინტერვიუ დიეგო მარადონას ქალიშვილთან

8

## საქართველო უმაღლეს ლიგაში გამთლიანდა

### სოხუმის მერე ცხინვალი

აფხაზეთის მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სამაჩაბლოც იქნება წარმოდგენილი. ნოდარ ახალკაცი „ცხინვალის“ ხელმძღვანელებს შეხვდა და დახმარება აღუთქვა, რაც ფედერაციის პრეზიდენტის მორიგ საპროგრამო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს — ანუ საბოლოოდ გაირკვა, რომ ზედა ეშელონი 16-გუნდიანი იქნება. ცხინვალელებს სპორტული მარიფათის გარდა, ცხადია, დაფინანსებისაც ეიმედებათ: რეგიონის ადმინისტრაცია კლუბს მზრუნველობას ჰპირდება, მერე კი ეგებ, ბიზნესმენებიც გამოჩნდნენ.



## მათთვის, ვისაც ფეხბურთი უყვარს: დღეს გერმანია—არგენტინაა

ეს ფოტოები 1986 და 1990 წლებისაა. კარგად დააკვირდით, მათზე სხვადასხვა ფორმიანი ფეხბურთელები არიან აღბეჭდილი, მატჩებიც სხვადასხვა ანგარიშით დასრულდა, მოკლედ, სხვადასხვა ამბავია, მაგრამ, მოდი, საერთოც ვნახოთ: ორივე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია და ორივეგან ერთმანეთს გერმანია და არგენტინა ხვდებიან.

ჰოდა, დღესაც გერმანია — არგენტინაა. მართალია, კონფედერაციათა თასზე, მაგრამ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი გუნდებია.








# კოლხებს პრეზიდენტმა დაუყვავა

## ფოთელებს პორტი, ფოთელებს ფეხბურთი

**გუშინ** ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელი სერგო გაბელაია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შეხვდა. მათთან ერთად უნდა ყოფილიყო კლუბის პრეზიდენტი, ფოთის პორტის პირველკაცი თემურ მიმინოშვილიც, თუმცა მას უცხოელი სტუმრები ჰყავდა და თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

ახალკაცი კოლხებს შეჰპირდა, მთავრობის წარმომადგენლებს დაველაპარაკები და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ფოთის პორტმა დაგაფინანსოთო.

როგორც იცით, პორტი სახელმწიფო ორგანიზაციაა, ასეთების მიერ კლუბების დაფინანსებას კი თავად სახელმწიფო კრძალავს, მაგრამ ისიცაა, რომ სხვა საშველი არ არსებობს.

— ფოთის „კოლხეთს" მუდამ პორტი აფინანსებდა. სხვა ძლიერი სტრუქტურა აქამდე არ გამოჩენილა, მსგავსი სურვილი არავის გამოუთქვამს. ფოთის მერია რას აპირებს, ეგ არ ვიცი. არ არის გამორიცხული, ისინიც დაგვეხმარონ, მაგრამ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. რაც მთავარია, უმაღლეს ლიგაში დავრჩით, ნოდარ ახალკაცმა ძალიან თბილად მიგვიღო, მან მშვენივრად იცის, რომ ფოთი საფეხბურთო ქალაქია და მის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია — გვითხრა სერგო გაბელაიამ.

„კოლხეთის" თავკაცს გუნდის სეზონისწინა გეგმებზეც ვკითხეთ, თუმც ბუნდოვანი პასუხი მივიღეთ. საქმე ისაა, რომ პორტმა ჯერ დავალიანებები უნდა გაუსტუმროს ფეხბურთელებს და შეკრება მერელა დაიწყება. ეს საკითხი დაახლოებით ერთ კვირაში უნდა მოგვარდეს. „კოლხეთიდან" ჯერ არც ერთი მოთამაშე ოფიციალურად არ წასულა და არც არავინ შემატებია.

იმას კი შეგახსენებთ, რომ მცველი ლევან აკობია თბილისის „დინამომ" წაიყვანა გერმანულ რუიტში შეკრებაზე, თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე კი ამჟამად არც ერთ კლუბს არ ეკუთვნის და უცხოეთში აპირებს წასვლას.

**ილია ნანოგაშვილი**

# ივან ბენეში: ცოტაღა დარჩა



**რა სტადიაზეა** 20 წლის სანდრო იაშვილის „გლაზგო რეინჯერსში" გადასვლის საქმე? ამ კითხვით გუშინ შოთა არველაძის და ზურაბ ხიზანიშვილის აგენტ ივან ბენეშს მივმართეთ...

— ყველა საჭირო საბუთი უკვე შევაგროვეთ და მათ ახლა ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი განიხილავს. ისღა დაგვრჩენია, დავიცადოთ, ცოტაც მოვითმინოთ და პასუხსაც მალე შევიტყობთ. რაც შეეხება ხიზანიშვილის „შალკეში" ტრანსფერს, ამაზე ახალს ვერაფერს გეტყვით — გვითხრა ბენეშმა.

შეგახსენებთ, სატრანსფერო ფანჯარა ევროპაში 30 ივნისს იხურება — ხიზანიშვილისა და იაშვილის ტრანსფერებიც მანამდე გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

| სარბიელელები<br>სამძიმარს ვუცხადებთ<br>ოთარ გუნთაძეს<br>დედის<br>გარდაცვალების გამო | ფეხბურთის კლუბი ამერი<br>თანაუგრძნობს<br>ოთარ გუნთაძეს<br>დედის<br>გარდაცვალების გამო |
|---|---|

# ნოდარ ახალკაცი ნოდარ ახალკაცის ჰვალზე

## ცხინვალი უმაღლეს ლიგაშია

**„მორჩა**, გადაწყვეტილია, „ცხინვალი" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, სეზონისთვის უკვე ვემზადებით" — გვითხრა გუნდის უფროსმა ზურაბ ნასუაშვილმა.

აქედან დასკვნა: ნოდარ ახალკაცი წინასაარჩევნოდ წარმოდგენილ ერთ-ერთ საკვანძო პროგრამას ბოლომდე მიჰყვა, საქართველოს ჩემპიონატის გეოგრაფია უნდა გავაფართოვოო, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს უმაღლესში გუნდები უნდა ჰყავდეთო და აი, შედეგიც: სოხუმის „დინამოს" კვალად, „ცხინვალსაც" მწვანე შუქი აუნთო.

თამაშიცაა და თამაშიც, ცხინვალელები კი ზედა ეშელონში ერთი წლით ყოფნას არ აპირებენ, სერიოზულ დაფინანსებას ველით და მარტო ის რად ღირს, რომ შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელიც ძალიან მოწადინებულიაო, ამბობენ. ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ ცხინვალელები საქართველოს პირველ ჩემპიონატშიც ბინადრობდნენ უმაღლეს ლიგაში („ლიახვის" სახელით), თუმცა ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო გუნდმა ის სეზონი ბოლომდე ვერ ჩაამთავრა და ჩემპიონატიდან მოიხსნა.

„ცხინვალის" ხელმძღვანელობას უმაღლესლიგელობის „მანდატი" ნოდარ ახალკაცისგან ამ დღეებში მიუღია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ისევ ზურაბ ნასუაშვილს მოვუსმინოთ:

„ნოდარ ახალკაცმა გადაწყვეტით გვითხრა და ჩათვალეთ, რომ უკვე უმაღლეს ლიგაში ვართ. ჩვენ პირველ ლიგაში ხომ მეხუთე ადგილზე გასვლით და სპორტული პრინციპითაც გვეკუთვნოდა უმაღლესში ადგილი, თუ, რა თქმა უნდა, 16-გუნდიანი გახდებოდა ჩემპიონატი. ახალკაცმა დახმარება აღგვითქვა და მის სიტყვებში ეჭვი არ გვეპარება — ცხონებული მამამისიც სულ გვერდში გვედგა და მზრუნველობას არ გვაკლებდა".

ცხინვალელები გორში, „ქართლის" სტადიონზე ითამაშებენ. ნასუაშვილმა თქვა, მინდვრის მხრივ ეს სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში და ნოდარ ახალკაცსაც მოეწონა, როდესაც გორში წინასაარჩევნო პროგრამით იყო ჩამოსულიო.

გუნდი 25 ივნისს შეიკრიბება, 5 ივლისიდან კი ინტენსიურ ვარჯიშებსაც დაიწყებს. ზურაბ ნასუაშვილმა გვითხრა, ძალიან ბევრი ფეხბურთელის გადმოყვანას ვგეგმავთ, ოთხი-ხუთი კარგი მოთამაშე ახლაც გვყავს, მაგრამ პირველი ლიგა სხვა დონეა, უმაღლესში კი სერიოზულად დაკომპლექტებაა საჭირო. „ცხინვალში" ითამაშებენ „დილადან" დაბრუნებულები: დავით მაისურაძე, ძმები ბექა და გიორგი ჩიტაიები, დავით ნაყოფია. მთავარი მწვრთნელი კი კვლავაც ზურაბ მაისურაძე იქნება, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან ემადლიერება.

რაც შეეხება კლუბის საარსებო წყაროს, ზურაბ ნასუაშვილმა გვითხრა, „ცხინვალი" სახელმწიფოს გუნდია, ბიუჯეტში ვზივართ და არ გამოვრიცხავ, ბიზნესმენებიც დაგვეხმარონო.

„მიხეილ ქარელმა და მისმა მოადგილე ზვიად ხმალაძემ ყველანაირი დახმარება აღგვითქვეს, მათ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით და უფრო დეტალურად გავეცნობით კლუბის დაფინანსების პროგრამას. ერთი რამ ვიცი, შუა გზაზე არავინ მიგვატოვებს".

შედეგი შედეგად და, ნასუაშვილის სიტყვით, მთავარი მაინც პოლიტიკური ნაბიჯია — გუნდში ბევრი ოსიც თამაშობს და ურთიერთშერიგების ერთ-ერთი საშუალება ფეხბურთი უნდა გახდესო.

**ილია ნანოგაშვილი**




თბილისის „ამერი" და „ცხინვალი" ერთმანეთს უმაღლეს ლიგაშიც შეხვდებიან



ვაჟა ჭითილაძის ფოტო

# ზესტაფონში ახალი ჯერ კოშკაძეა
## ვინ იქნება შემდეგი?

**„ზესტაფონი“** დიდხანს არ გაჩერდა უქმად, სეზონის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღე დაისვენა და შეკრებაც დაიწყო. თემურ მახარაძე თბილისში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე ავარჯიშებს გუნდს, შეკრების მეორე ეტაპი ბაკურიანში იქნება, მერე კი ახალი სეზონის დაწყებამდე ფეროელები უცხოეთში, სავარაუდოდ, თურქეთში გაემგზავრებიან.

ზესტაფონელების ამბიცია მოგეხსენებათ — კლუბი მნიშვნელოვნად გაძლიერებას აპირებს ყველა რგოლში, ამიტომაც წამსვლელიც ბევრი იქნება და მომსვლელიც. ჯერჯერობით გუნდთან ერთად მხოლოდ ერთი მეტ-ნაკლებად გამოცდილი ფეხბურთელი, ქუთაისის ტორპედოელი ალექსანდრე კოშკაძე ვარჯიშობს, დანარჩენები კი ახალგაზრდა, გამოუცდელი ბიჭები არიან და მათი გვარები ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**ლუკა თალაკვაძე**

# ლამაზი კაცის ლამაზად ხსოვნისა



**„ირაოს“** ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ზაზა დარასელის მე-5 მემორიალური ტურნირი გაიმართა მინი-ფეხბურთში. ცნობილმა ტელეჟურნალისტმა და პუბლიცისტმა ბევრი ლამაზი საქმის გაკეთება მოასწრო, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა...

მეხუთე წელია, კოხტა მინი-მოედანზე გუნდები იკრიბებიან და პატივს მიაგებენ ზაზა დარასელის ხსოვნას.

წლეულს ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა: „პირველი არხი“, „მზე“, „ბოცვაძელები“, „აფხაზეთი“, „მეორე არხი“, „სარბიელი“, „რუსთავი 2“ და „იმედი“.

ორჯგუფიანი ტურნირის შემდეგ ნახევარფინალები გაიმართა, გუშინ კი ფინალში „მეორე არხმა“ „აფხაზეთს“ 1:0 მოუგო და ჩემპიონობა შეინარჩუნა.

ნაფინალევს დაჯილდოებაც ლამაზი იყო: ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ტელეკომპანია „მზეს“ სპორტულ კომენტატორს ლაშა დვალიშვილს გადაეცა, ყველაზე კორექტული გუნდის სახელი კი ბოცვაძელებს ერგოთ. ტურნირის ყველა მონაწილეს 55-ნომრიანი თეთრი მაისურები აჩუქეს, რადგან წლეულს ზაზა დარასელს სწორედ 55 წელი შეუსრულდებოდა... გარდა ამისა, ჩემპიონ გუნდს 1500, ფინალისტს 1000, ნახევარფინალისტებს 300-300 და ჯგუფში დარჩენილებს 100-100 ლარი გადაეცათ.

# გახოკიძეს ტკივილი არ ეშვება
## მოდუნებული კუნთის ქრონიკა

უიღბლოდ წარიმართა გასული სეზონი 29 წლის გოგა გახოკიძისთვის — პირველ ჯერზე რუსულ „კრილია სოვეტოვში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში მოატყუეს, პირობა არ შეუსრულეს და დონეცკის „მეტალურგს“ მიაშურა, მაგრამ იქაური წესწყობილება მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ჰოლანდიურ „ტვენტეში“ დაბრუნდა. გოგას ჰოლანდიაშიც არ გაუმართლა, კუნთი დაეჭიმა, ტრავმა გაურთულდა, მერე ამას ახალი ტრავმა დაერთო და მარტიდან მოყოლებული აღარ უთამაშია, ჰოლანდიის ნაკრების ექიმებთან მკურნალობდა. ახლა გახოკიძე კვლავ ჰოლანდიაშია, ენსხედეს „ტვენტესთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს...



— ახლა ოდნავ უკეთ ვარ, კვლავ ჰოლანდიის ნაკრების ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ვარ, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიში ჩემთვის ჯერაც ადრეა.

**— მარტში რომ კუნთი დაგეჭიმა, ისევ ის გაწუხებს?**

— არა, ეგ ტრავმა მოვირჩინე, მაგრამ მერე საზარდულთან დამჩემდა ტკივილები და ორი თვეა, ასე ვარ.

**— სხვა ექიმისთვის არ მიგიმართავს?**

— თბილისში ცოტა ხნით რომ ჩამოვედი, სულ ექიმებში დავდიოდი. მითხრეს, არაფერი გჭირს, საზარდული დაზიანებული არ გაქვსო. ჰოლანდიელი ექიმების დიაგნოზით, საზარდულთან რომ კუნთია, მოდუნებული იყო იმის გამო, რომ წინა სეზონის პირველი ნახევარი, ფაქტობრივად, გამიცდა და მერე რომ დავტვირთე კუნთი, ვეღარ გაუძლო — ტკივილიც ამის ბრალიაო.

**— შეკრება როდის გეწყებათ?**

— 4 ივლისს, პირველი ათი დღე ჰოლანდიაში ვიქნებით, მერე ალბათ სხვაგან წავალთ. ძალიან მინდა, რომ მანამდე სრულად გამოვჯანმრთელდე. უბურთოდ ვარჯიშისას არაფერი მაწუხებს, მაგრამ ბურთთან შეხებისას ტკივილს მაინც ვგრძნობ.

**— ამ სეზონში რა იქნება „ტვენტეს“ მიზანი?**

— ევროსაგზურის მოპოვება.

**— ჰოლანდიის ჩემპიონატში ერთადერთი ქართველი აღარ იქნები...**

— ძალიან გამიხარდა, რომ წელს გარდა აქ შოთა არველაძეც თამაშებს. ისე, „ალკმაარიც“ არაა [illegible] „აიაქსის“ და „ფეიენოორდის“ დონის კლუბი, მაგრამ წინა სეზონი, ასე ვთქვათ, კარგად წაუვიდა. [illegible] ჩვენთან ორივე თამაში წააგო — 1:4 და 0:3. „ალკმაარს“ გამორჩეული ფეხბურთელები არ ჰყავდა, მაგრამ გუნდურ ფეხბურთს [illegible] თამაშობდნენ. ვნახოთ, როგორი იქნება „ალკმაარი“ ახალი მწვრთნელის, ლუის ვან გაალის ხელში.

**დავით თავართქილაძე**

# თვალი თვალი






*ზოგადად, წაგება რომ ტრაგედია და ქვეყნის დაქცევა არ არის, ვიცით. „ვიტ ჯორჯიას“ თავისი წაგებები „დინამოსთანაც“ წაუგია და ბევრ სხვა გუნდთანაც, მაგრამ... აი, უნგრეთის ჩემპიონატის მეთოთხმეტეადგილოსანთან წაგება ტრაგედია თუ არა, უხერხული მაინცაა...*

*აბა, როგორ ვასწავლოთ ამ პატარა ბიჭს, რომ საქართველოს ჩემპიონი ვინმე „ლომბარდ პაპასთან“ არ უნდა აგებდეს?!*

*ოღონდ, ახლა ვინმემ არ თქვას, ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლაო...*



# შალკე ჭმუნავს 400 000 £ ქართველში?

**ზურაბ ხიზანიშვილის** გელზენკირხენის „შალკეში“ შესაძლო ტრანსფერის საკითხში ახალი ისაა, რომ „შალკე“ კვლავაც ფიქრობს ჩვენებური მცველის შეძენაზე და ამას საქვეყნოდაც აცხადებს.

ხიზანიშვილმა ბოლომდე ვერ დაგვაჯერა, ჩვენ ეს ფეხბურთელი დეტალურად უნდა შევისწავლოთ — ასეთია „შალკეს“ პოზიცია.

„ხუმარებს“ სელტიკელი მცველის, ბობო ბალდეს შეძენაც რომ სურდათ, ადრეც გაუწყეთ. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბალდე „სელტიკში“ დარჩება, ანუ ხიზანიშვილს კონკურენტი ჩამოსცილდება.

ბრიტანული სააგენტო TEAMTALK კი იუწყება, რომ „შალკე“ ახლა ხიზანიშვილის ფასს განიხილავს — გადაუხდის თუ არა 400 000 გირვანქას „რეინჯერსს“ ქართველ მცველში.

**დავით თავართქილაძე**

# კალაძე უკვე ლონდონშია

## რა ანგარიშით დამთავრდება ჩელსი — მილანი?

**კახა კალაძე** უკვე ლონდონშია და „ჩელსის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ამ კლუბში გადასვლის თაობაზე იქ განაგრძობს. ლონდონშია ერნან კრესპოც და ინგლისელებთან ისიც თავის მომავალს არკვევს. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, რა დონეზეა „მილან“-„ჩელსის“ მოლაპარაკება ამ ფეხბურთელთა გაცვლაზე, თუმც ფაქტი, რომ „ჩელსიმ“ ორივე ფეხბურთელი ლონდონში დაიბარა, თავისთავად მნიშვნელოვანია.

„არ ვიცი, „მილანი“ და „ჩელსი“ რას აპირებენ. არც ის ვიცი, ჩემს მომავალ კლუბთან დაკავშირებით კახა კალაძე რა შუაშია. ლონდონში ჩემი პირადი საქმეების გასარკვევად ჩამოვედი და ვიმედოვნებ, „ჩელსისგან“ კონკრეტულ პასუხს მივიღებ“ — უთხრა ჩვენს ინგლისელ კოლეგას არგენტინელმა თავდამსხმელმა.

კალაძის მოხელთება კი ბოლო ორი დღეა, შეუძლებელი გახდა, მას არც ლონდონში ჩასვლის თაობაზე გაუკეთებია რაიმე კომენტარი.

ისე კი, ჩანს, კალაძე-კრესპოსა და „მილან“-„ჩელსის“ ამბავი საბოლოოდ ამ კვირაში უნდა გაირკვეს. შეგახსენებთ, კახა კალაძე წინა კვირას „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩს მოსკოვშიც შეხვდა, ახლა კი ლონდონშია...

**კობა ინასარიძე**




# სკონტომ ვენტსპილსი გააბრაზა, ვენტსპილსმა მსაჯები

**სკანდალური** გამოდგა ლატვიის ჩემპიონატის მორიგი ტური, რომელშიც ერთმანეთს რიგის „სკონტო“ და „ვენტსპილსი“ შეხვდნენ. ამ გუნდების თამაში ლატვიაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და ასე იყო ამჯერადაც: „სკონტო“ — „ვენტსპილსი“ იქაურთა სუპერმატჩია.

რიგელებს ამ სეზონში ძალიან უჭირთ. კორღალიძე-ელიავა-მენთეშაშვილ-ჩალაძის გუნდი გუნდს აღარ ჰგავს და წაგებებსაც ისე უხშირა, რომ მის ჩემპიონობას უკვე ყველა ეჭვით უყურებს. „ვენტსპილსი“ კი ის გუნდი არაა, „სკონტოს“ მოგუდვის შანსი ხელიდან გაუშვას, ოღონდ...

ამხელა შესავლის მერე გეტყვით, რომ ალექსანდრე რეხვიაშვილის თანაგუნდელები ბოლო წამებამდე 2:1 უგებდნენ დედაქალაქელებს, მაგრამ იგორ კალნინშის გასროლილმა მასპინძელთა იმედები დაასამარა.

ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი — „ვენტსპილსის“ სათადარიგონი მეოთხე მსაჯს მიეჭრნენ და გაწევ-გამოწევა ჩხუბშიც გადაიზარდა.

საბოლოოდ საქმეში პოლიცია ჩაერია და მოქიშპენი დააშოშმინა.

მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა, ვენტსპილსელებს კი ალბათ სერიოზული ჯარიმის გადახდაც დაეკისრებათ...



ირაკლი მოდებაძემ (მარჯვნივ) უიღბლო სეზონი გოლით დაასრულა

დასრულდა უკრაინის ჩემპიონატი. ჩემპიონი დონეცკის „შახტარი“ გახდა, ქართველებს კი, ადრეც გითხარით, თავი დიდად არ გამოუჩენიათ, თუმცა ამას ირაკლი მოდებაძეზე ვერ ვიტყვით — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდს ტრავმამ თითქმის მთელი სეზონი გააცდენინა, მაგრამ ირაკლიმ ჩატარებულ 9 მატჩშიც შეძლო 4 გოლის გატანა. სწორედ მოდებაძის გოლით დასცა „ზაპოროჟიემ“ „ბორისფენი“ და საბოლოოდ მეათე ადგილზე გავიდა, რაც ლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდისთვის არცთუ ურიგო შედეგია.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 90 | | 10 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ალანია 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 61 | შეცვალეს | 9 | 0 | 16 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 16 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 16 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 16 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 73 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 0 | 16 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:3 | 90 | | 4 | 0 | 16 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | კრილია 2:2 | 90 | | 8 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | მეტალურგი 4:1 | 90 | | 6 | 0 | 5 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | მეტალურგი 4:1 | 0 | | 5 | 0 | 5 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | ფაკელი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 10 | 0 | 4 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ორიოლი 2:0 | 89 | შეცვალეს | 13 | 0 | 3 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | მ. კუზბასი 0:2 | 0 | | 5 | 0 | 20 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ჩკალოვეცი 2:0 | 90 | საგოლე პასი | 15 | 0 | 19 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | სკა-ენერგია 0:4 | 90 | გააფრთხილეს | 17 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ობოლონი 1:1 | 0 | | 25 | 5 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | დნიპრო 0:2 | 0 | | 21 | 3 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ვოლინი 4:1 | 0 | | 26 | 9 | 7 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | ს | მეტალისტი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| გრიგოლ ჭანტურია | ზაკარპატიე | შ | ილიჩევეცი 1:0 | 0 | | 1 | 0 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ბორისფენი 2:1 | 38 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 9 | 4 | 10 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 0 | | 11 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 90 | | 11 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 62 | შეცვალეს | 12 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 2:2 | 0 | | 8 | 0 | 2 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | სკონტო 2:2 | 90 | | 10 | 2 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | სკონტო 2:2 | 0 | | 7 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | ალმათი 2:0 | 78 | 1 გოლი, შეცვალეს | 11 | 2 | 13 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ორდაბასი 1:0 | 90 | | 10 | 0 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



ალბერტო ჯილარდინო „პარმას" ვალმოხდილი ეთხოვება

# ჯილარდინო ცხადს ჰგავს, რონალდინიო — სიზმარს

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა პაოლო ბერლუსკონიმ, რომელიც გუნდის მეპატრონისა და იმავდროულად იტალიის პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის ძმა გახლავთ, განაცხადა, რომ იტალიური ფეხბურთის ახალი ვარსკვლავი ალბერტო ჯილარდინო მალე „შავ-წითელ" მაისურას მოირგებს.

„ბოლომდე ვეთანხმები ჩემს მეგობარს ადრიანო გალიანის, რომელიც ამბობდა, რომ ჯილარდინოს შესახებ მოლაპარაკებები არ უნდა გვეწარმოებინა იქამდე, ვიდრე არ გაირკვეოდა, რჩება თუ არა „პარმა" სერია A-ში. ახლა ცნობილი გახდა, რომ პარმელები სერია A-ში რჩებიან და შესაბამისად, ჩვენც უკვე აღარაფერმა უნდა შეგვიშალოს ქომაგების გახარებაში ხელი. ოღონდ, ერთი არ უნდა დაგვავიწყდეს: ამ სიხარულს ჩვენი პრეზიდენტი გვანიჭებს. ფულს ტრანსფერებისთვის ის გამოდის".

ერთი სიტყვით, ჯილარდინოს მილანელობა ალბათ მაინც არ ასცდება, ხოლო რონალდინიო ჯერჯერობით „შავ-წითელთა" ბოსების ოცნებად დარჩება.

პაოლო ბერლუსკონი: „ის სატრანსფერო ოცნებაა. ქომაგების გამოკითხვა რომ მოგვეწყო, ყველანი ერთხმად დაუჭერდნენ რონალდინიოს ყიდვას მხარს, მაგრამ ეს სურვილი უნდა დავივიწყოთ. რონალდინიო უბრალოდ, ლამაზი სიზმარია, დილით კი გავიღვიძებთ და სინამდვილეს დავუბრუნდებით".

**ბაჩუნა კიკია**

# ლაპორტა ბაზარში აღარ წავა





ხუან ლაპორტას თუ ვერწმუნებით, სანტი ესკერო გუნდის ბოლო შენაძენია

ესპანეთის ჩემპიონის, კატალონიური „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ გუშინ სააგენტო „როიტერს" განუცხადა, მორჩა, ჩემი გუნდი ახალი სეზონისთვის უკვე დაკომპლექტებულიაო.

„მე ვესაუბრე მთავარ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს და მის თანაშემწეებს, მათ მითხრეს, რომ ახლა „ბარსელონაში" ყველა სათამაშო პოზიციაზე სულ ცოტა, ორ-ორი თანაბარი ძალის ფეხბურთელი გვყავს. კონკურენცია დიდია და რაც მთავარია, ეს პოზიტიურად აისახება გუნდის თამაშზე. ჩვენ შევიძინეთ ორი ძლიერი ნახევარმცველი, მარკ ვან ბომელი და სანტიაგო ესკერო. გარდა ამისა, საბოლოოდ გამოჯანმრთელდნენ ჰენრიკ ლარსონი, ედმილსონი, ტიაგო მოტა და გაბრი. ასე რომ, „ბარსელონა" სატრანსფერო ბაზარზე წლეულს მეტად აღარ გავა" — განმარტა ლაპორტამ.

რაც შეეხება „ბარსას" გეგმებს, ლაპორტამ დასძინა, ჯერ კამერუნში, ტურნეზე წავალთ, ეტოოს სამშობლოში ფიზიკურად მოვმაგრდებით, მერე კი ახალი სეზონისთვის საფუძვლიანად დავიწყებთ მზადებასო.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XI ტური

ვოლერენგა — ვიკინგი 1:2; ალესუნდი — სტარტი 1:2; ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 1:1; ჰამ კამი — ოდ გრენლანდი 2:1; მიოლდე — ფრედრიკსტადი 2:1; ტრომსიო — ლინი 0:0; ბრანი — რუსენბორგი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 11 | 7 | 3 | 1 | 23:12 | 24 |
| ვოლერენგა | 11 | 6 | 3 | 2 | 16:10 | 21 |
| ბრანი | 11 | 6 | 2 | 3 | 26:14 | 20 |
| ვიკინგი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 18 |
| ლინი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:10 | 17 |
| ლილესტრიომი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:15 | 16 |
| რუსენბორგი | 11 | 4 | 3 | 4 | 20:14 | 15 |
| ფრედრიკსტადი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 15 |
| ტრომსიო | 11 | 2 | 6 | 3 | 10:12 | 12 |
| მიოლდე | 11 | 3 | 3 | 5 | 14:22 | 12 |
| ჰამ კამი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:15 | 11 |
| ბოდიო გლიმტი | 11 | 2 | 4 | 5 | 13:15 | 10 |
| ალესუნდი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:19 | 9 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 2 | 2 | 7 | 8:22 | 8 |

### I დივიზიონი. XII ტური

ბრინი — ლოვ ჰამი 4:0; ტონსბერგი — სოგნდალი 4:1; ჰიონეფოსი — სანდეფიორდი 0:4; მოსი — მანდალი 4:1; პორს გრენლანდი — ფოლო 1:1; სტრიომსგოდსეტი — ჰიოდი 4:1; ალტა — კონგსვინგერი 0:3; სტაბეკი — სკეიდი 4:0

## შვედეთი

### ალსვენსკა. XI ტური

ჰალმსტადი — ჰამარბი 1:2; იორგრიტე — ასირისკა 2:0; იურგორდენი — ჰელსინგბორგი 5:2; ელფსბორგი — მალმიო 3:1; გეფლე — ლანდსკრონა 0:0. *სუნდსვალი — კალმარი დღეს გაიმართება, ჰეკენი — გიოტებორგი კი ხვალ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 11 | 7 | 2 | 2 | 24:14 | 23 |
| მალმიო | 11 | 6 | 1 | 4 | 13:11 | 19 |
| ჰალმსტადი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:13 | 17 |
| გიოტებორგი | 10 | 4 | 5 | 1 | 10:6 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:17 | 17 |
| ჰეკენი | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 16 |
| კალმარი | 10 | 4 | 4 | 2 | 8:6 | 16 |
| ელფსბორგი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:17 | 15 |
| ჰამარბი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | 15 |
| იორგრიტე | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| ლანდსკრონა | 11 | 3 | 4 | 4 | 14:20 | 13 |
| სუნდსვალი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:17 | 10 |
| გეფლე | 11 | 3 | 1 | 7 | 9:16 | 10 |
| ასირისკა | 11 | 2 | 1 | 8 | 7:14 | 7 |

### სუპერეტა. XI ტური

ნორჩიოპინგი — იორებრო 0:0; დეგერფორსი — ატვიდაბერგი 1:1; ბრომაპოიკარნა — მიალბი 1:1; ლიუნგსკილე — ფრიოლუნდა 3:2; ვასბი — ბოდენსი 1:0; აიკ — ვასტერასი 5:0; იოსტერსი — ფალკენბერგი 4:1; ტრელებორგი — გაის 2:2

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. X ტური

ჰაკა — ტპ-47 2:0; ლაჰტი — კუოპიო 2:1; იარო — ტურკუ 1:0; ჰიკ — კტპ 2:2; როვანიემი — მიუპა 0:2; მარიეჰამნი — ალიანსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 10 | 5 | 5 | 0 | 15:7 | 20 |
| მიუპა | 10 | 5 | 4 | 1 | 14:4 | 19 |
| ტამპერე | 9 | 5 | 3 | 1 | 13:7 | 18 |
| ინტერი | 10 | 4 | 5 | 1 | 13:3 | 17 |
| ჰაკა | 10 | 4 | 5 | 1 | 9:5 | 17 |
| მარიეჰამნი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 16 |
| კტპ | 10 | 4 | 3 | 3 | 12:12 | 15 |
| ლაჰტი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:15 | 14 |
| ალიანსი | 10 | 2 | 7 | 1 | 9:7 | 13 |
| ტურკუ | 9 | 2 | 2 | 5 | 5:9 | 8 |
| კუოპიო | 10 | 2 | 1 | 7 | 8:18 | 7 |
| იარო | 10 | 1 | 4 | 5 | 4:14 | 7 |
| ტპ 47 | 10 | 1 | 2 | 7 | 3:10 | 5 |
| როვანიემი | 10 | 0 | 5 | 5 | 7:17 | 5 |

## დანია

### I დივიზიონი. XXX ტური

აკადემისკი — ფრემადი 1:2; ჰორსენსი — ვაილე 1:2; ბ-93 კოპენჰაგენი — სკიოლდი 2:3; ბრიონსჰიოი — დალუმი 4:1; კიოგე — ფრემი 4:0; ნიკიობინგი — ნესტვედი 3:1; იოლსტიკე — ჰელერუპი 4:4; სიონდერიულანდი — ფრედერისია 4:1

## ბრაზილია

### სერია A. VIII ტური

ბრაზილიენსე — კორინთიანსი 2:4; ფიგეირენსე — პაისანდუ 3:3; პალმეირასი — ვასკუ და გამა 5:2; ატლ. მინეირო — სან კაეტანო 2:3; ფლამენგო — ატლ. პარანენსე 1:1; პონტე პრეტა — გოიასი 2:0; კურიტიბა — პარანა 2:1; ფლუმინენსე — ინტერნასიონალი 3:0; ფორტალეზა — სანტოსი 0:0; ჟუვენტუდე — კრუზეირო 0:0; სან პაულუ — ბოტაფოგო 1:0

## არგენტინა

### კლაუსურა

### XVII ტური

ალმაგრო — სან ლორენსო 3:1; არსენალი — ხიმნასია 1:2; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 2:2; ოლდ ბოისი — ბოკა ხუნიორსი 1:0; არგ. ხუნიორსი — ურაკანი 5:1; ბანფილდი — კოლონი 0:0; ინსტიტუტო — როსარიო 1:2; კილმესი — ოლიმპო 1:1; რივერ პლეიტი — ველესი 0:1; რასინგი — ლანუსი 2:0

## ამხანაგური მატჩი

ჩინეთი 2:2 კოსტა რიკა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

ფინალი

გერმანია 3:1 ნორვეგია



ევროპის ჩემპიონის თასი გერმანელთა კაპიტანმა ბირგიტ პრინცმა ჩაიბარა

# ქალებიც თქვენ ყოფილხართ
## ფინალი რეკორდით

**ჩემპიონატის** დაწყებისთანავე ვივარაუდეთ, გერმანელ ქალებს ჯილდოს მოგებაში ვერავინ შეეცილებოდა და ასეც მოხდა. ოღონდ აქ ჩვენი წინასწარმეტყველური ნიჭი არაფერ შუაშია — უბრალოდ, გერმანია რამდენიმე თავით მაღლა იდგა სხვა გუნდებზე და ამის ვერშენიშვნა, შეუძლებელი იყო.

ისიც ვთქვათ, რომ ეს გერმანიის მეექვსე ტიტული იყო, ხოლო მათი ახლანდელი მწვრთნელისთვის, ტინა ტეუნე მაიერისთვის — მესამე.

პირველი ტაიმის შუაში, სამწუთიან მონაკვეთში ინკა გრინგსმა და რენატ ლინგორმა ორი ბურთით დააწინაურეს გერმანელები და ფაქტობრივად, გადაწყვიტეს კიდეც ფინალის ბედი. ტაიმის მიწურულს, გარკვეულ საქმეში ვიკინგმა გოგომ, დაგნი მელგრენმა თამაშს ინტერესი კი დაუბრუნა, მაგრამ ბირგიტ პრინცმა შესვენების მერე ყველაფერი ისევ თავის ადგილას დააყენა. პრინცისთვის ეს მეოთხე ფინალი იყო, ხოლო პირველი გოლის ავტორი გრინგსი ოთხი გოლით ჩემპიონატის მთავარმეგოლედ შეიქნა.

გერმანელთა უპირატესობის ერთ-ერთი ფაქტორი დიდებული ფიზიკური მომზადებაც იყო. მათ ფინალში იმავე შემადგენლობით ითამაშეს, რითაც ნახევარფინალში ფინელებს სძლიეს, მაშინ როცა, ნორვეგიელები გვარიანად გადაღლილები იყვნენ და მათმა მწვრთნელმა ბიარნე ბერნტსენმა აღიარა, საფინალო შემადგენლობაში ცვლილებები სწორედ ამ მიზეზით შევიტანეო. ეგ კი არა, გერმანელთა ლიდერი პრინცი ფინალში უკეთ გამოიგერიებდა, ვიდრე წინა მატჩებში და უკვე მეოთხე წუთზე ერთი დიდებული მომენტიც ჰქონდა.

მაგრამ ყველა სახიფათო მომენტზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებთ და გოლებზე მოგახსენებთ. [illegible] მისი პასით გაიტანა.

[illegible] — [illegible] იყო, წვიმამ გვარიანად [illegible] სანორვეგიო საქმე გააადვილა [illegible] ფრანცენის მელგრენის უპასა, [illegible] ამ დროს ორ მცველს შორის გაძვრა და გაიტანა. ცოტაც და ნორვეგიელებმა მეორეც შეაგდეს, ოღონდ მსაჯმა ოფსაიდის გამო არ ჩათვალა და ტაიმიც ასე დასრულდა.

ბოლო გოლი კი, როგორც მოგახსენეთ, პრინცმა გაიტანა: 30 მეტრიდან დარტყმული რიკოშეტით წავიდა კარისკენ და მეკარე სწორედ ამ რიკოშეტმა მოატყუა. ამ გოლით პრინცი პირველი ფეხბურთელიც შეიქნა, სამ ფინალში რომ აქვს გოლი გატანილი.

ბოლოს კი სხვა რეკორდზეც ვთქვათ: ბლეკბერნის „იუდ პარკზე", ფინალის სანახავად 21 105 მაყურებელი მივიდა, რაც ქალთა ფინალებზე დასწრების ახალი რეკორდია. ამდენი ხალხი წინა ფინალზეც არ მისულა, არადა, მაშინ გერმანიამ გერმანიაში მოიგო ჩემპიონობა.

**კოტე კეკელია**

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

## A ჯგუფი. III ტური





მიხაელ ბალაკი არგენტინელებთან დიდი ფეხბურთის თამაშს აპირებს

# განეწყვეთ დიდი ფეხბურთისთვის

## არგენტინა — გერმანია

**არგენტინა** და გერმანია უკვე ნახევარფინალში არიან და ამიტომაც მშვიდად ბრძანდებიან, მაგრამ, სადაც გინდა იყვნენ და რაგინდ ქულში ჰქონდეთ თავი, მათი ანუ მსოფლიოს ორგზისა და სამგზის ჩემპიონთა მატჩი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამასვე ადასტურებს გერმანიის ნაკრების კაპიტნის მიხაელ ბალაკის სიტყვებიც:

„არგენტინასთან შეხვედრა ჩვენთვის დიდი გამოწვევაა და თითოეულ გულშემატკივარს დიდი ფეხბურთის მოლოდინი უნდა ჰქონდეს".

სამხრეთამერიკელები ნახევარფინალში ტუნისთან (2:1) და ავსტრალიასთან (4:2) მოგებებით გავიდნენ, გერმანელებმა კი ოზებს 4:3 აჯობეს ხოლო ტუნისელებს 3:0. ერთი სიტყვით, დღეისთვის ორივეს ექვს-ექვსი ქულა აქვს და მათ შორის ჯგუფში პირველმეორეზე გასულის ამბავი გაირკვევა, თუმცა აქვე უნდა ითქვას გერმანელთა იმ უპირატესობაზეც, ერთით მეტი გატანილი გოლით რომ არის გამოხატული. ეს ერთით მეტი გატანილი კი იმას ნიშნავს, რომ დღეს პირველ ადგილზე გასასვლელად არგენტინელებმა მასპინძლებს უნდა მოუგონ. ფრე გერმანელების პირველ ადგილზე გასვლას ნიშნავს, მაგრამ... მოდით ერთი ვიკითხოთ, ღირს კი ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა? დავაზუსტოთ: გერმანიისთვის არგენტინის დამარცხება და არგენტინისთვის გერმანიის ძლევა, რომ მნიშვნელოვანია და ყველაფერზე მაღლა დგას ფაქტია, მაგრამ მას მერე, რაც მექსიკამ **B** ჯგუფში ბრაზილიას მოუგო, გაჩნდა დიდი შანსი იმისა, რომ აქ, მეორე ადგილზე სწორედ ბრაზილია გავა და შესაბამისად, **A** ჯგუფის პირველსაც ის შეხვდება. ჰოდა, ღირს?

ვფიქრობთ, თუ ვარჯიში და რეპეტიციაა, სწორედ ეს ღირს თუ ღირს — სად ბრაზილიასთან რომ გამოიწრთობი და სად სხვასთან.

ავსტრალიასთან შეხვედრაში ჰეთ თრიქის ავტორი, არგენტინელი თავდამსხმელი ლუჩანო ფიგეროა ამბობს: „არგენტინას ყოველთვის გამარჯვება უნდა და ამის დამტკიცებას ჩვენ გერმანიასთან შეხვედრაშიც შევეცდებით. ჩვენ გვინდა ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ".

ახლა კი დროა სტატისტიკის წიგნს ჩავხედოთ. შიგ წერია, რომ დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს ცხრაჯერ შეხვედრიან და ამ ცხრა შეხვედრიდან, ოთხში არგენტინელებს მოუგიათ, სამში გერმანელებს, ხოლო ორი შეხვედრა ფრედ დამთავრებულა. გოლების საქმე კი ასეა: 10:10.

საინტერესოა, რომ გერმანელთა და არგენტინელთა მატჩში, ერთმა მეორესთან ორგოლიან უპირატესობა ისტორიაში ერთადერთხელ, 1958 წელს, შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა. მაშინ გუნდები მუნდიალზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და ევროპელებმა 3:1 იმარჯვეს.

დღევანდელი მეტოქეები ორჯერ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც გადაეყარნენ ერთმანეთს — 1986 წელს არგენტინამ გერმანიას 3:2 აჯობა, ხოლო 1990-ში გერმანიამ მოიგო 1:0.

გერმანელთა და არგენტინელთა ბოლო დაპირისპირება კი ამ წლის 5 თებერვლის ამბავია. მეტოქეები დიუსელდორფში შეხვდნენ ერთმანეთს და 2:2 ითამაშეს. ამ დღეს არგენტინელთაგან გოლები ერნან კრესპომ გაიტანა, ხოლო გერმანელებისა ტორსტენ ფრინგსმა და კევინ კურანიმ მიითვალეს.

**პაპუნა ძიდია**

## ავსტრალია — ტუნისი

# გერმანიას ოზები მოეწონა



„სოკერუ" ტუნისთან მატჩისთვის საგულდაგულოდ ემზადება

**ეს ავსტრალია** უცნაური გუნდია. გარკვეული გაგებით, რაც კონფედერაციათა თასი გახურდა დამაცხებული გუნდის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ გარკვეული გაგებით გამარჯვებულია და შეუძლია თავი ამაყად ეჭიროს. სანამ შეჯიბრება დაიწყებოდა, გერმანელ ქომაგებში გამეფებული გახლდათ აზრი, რომ „სოკერუები" მათ ქვეყანაში გუნდების საჭირო რაოდენობის შესავსებად და უკლებლივ ყველასთან დასამარცხებლად იყვნენ ჩასულები, მაგრამ გაგორდა ბურთი და ორი მარცხის მიუხედავად ავსტრალიამ ყოჩაღი და ძნელად ხელწამოსაკრავი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. თავად განსაჯეთ, ოზებმა ნაციონალმანშაფტთან 3:4 წააგეს, არგენტინელებს კი ჯერ გული გვარიანად გაუხეთქეს და მერე დამარცხდნენ 2:4.

აი, რას ამბობს არგენტინელების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი: „ჩვენი მატჩის დროს იყო მომენტები, როდესაც ავსტრალია ძალიან უახლოვდებოდა მიზანს. ამ გუნდში ჩინებული ფეხბურთელები გამოდიან და ჩვენი ნებისმიერი მოსუსტებით ისინი ბრწყინვალედ სარგებლობდნენ, არადა, ბუნებრივია ნებისმიერ შეხვედრაში დგება პერიოდი, როდესაც თამაშის ინტენსივობა გაკლდება. ავსტრალიელები ფიზიკურად ისე იყვნენ მომზადებულნი, რომ კინაღამ დავეცით. კიდევ კარგი გამოვნახეთ ძალები და არ ამოვისუნთქეთ. მოკლედ, რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ და თამაშის მიწურულს მეორიგი გოლიც გავიტანეთ."

გერმანელების კაპიტანი მიხაელ ბალაკი: „ავსტრალიელებს მართლაც ძალიან ღირსეული გუნდი ჰყავთ. ჩვენ მათ წინააღმდეგ ძალიან მძიმე მატჩი გადაგვხდა. მეტიც, ვფიქრობ რამდენიმე ასპექტში მათზე სუსტები ვიყავით. საბოლოოდ მეორე ტაიმმა ჩვენს სასარგებლოდ ჩაიარა, მაგრამ ამით ავსტრალიელთა სიძლიერე, ბუნებრივია, არანაირად არ დაკნინებულა."

მოკლედ, ამ დღეებში, გერმანელ ქომაგთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხალხის უმეტეს ნაწილს კონფედერაციათა თასზე სასიამოვნო წუთები და განცდა ბრაზილიის შემდეგ, ნუ გაგიკვირდებათ და ავსტრალიამ მიანიჭა.

და დღეს „სოკერუ" ტუნისს ხვდება. ფრე ოზებს მესამე ადგილზე გაიყვანს.

გუნდის მარჯვენა მცველი კევინ მუსკატი: „ამ შეჯიბრებამ გვაჩვენა მომავალში რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. კონფედერაციათა თასის ყოველი თამაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ღიდებული რეპეტიციაა. ახლა შეჯიბრებაში ჩვენთვის ბოლო თამაშის მოგება გვინდა."

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| **არგენტინა** | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| **ავსტრალია** | 2 | 0 | 0 | 2 | 5:8 | 0 |
| **ტუნისი** | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# ფიფას კონფედერაციის თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

## II ტურის მიმოხილვა

სოსო კოტორეიშვილი

# კლინსმანმა მათეუსი იწამა, გრაბოვსკიმ კლინსმანი

# ესაა ევროპის ჩემპიონი?

*ესეც პირველი სენსაცია — ბრაზილიამ მექსიკასთან წააგო. კონფედერაციის თასის პირველ ტურში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ბერძნებს ისე დამაჯერებლად მოუგეს, რომ „ტრიკოლორთან“ შეხვედრაშიც მათი გამარჯვებისა თითქმის არავის ეეჭვებოდა. ეტყობა, ბრაზილიელმა ფეხბურთელებმაც მატჩი დაწყებამდე ჩათვალეს მოგებულად და მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასეს. მექსიკა კი ის გუნდი არ არის, ალმაცერად შეხედო და ცალი ფეხით დაამარცხო.*

*მოკლედ, რიკარდო ლავოლპეს გუნდმა ტოლი არაფერში დაუდო „სელესაოს“, ხარედ ბორგეტის გოლის წყალობით სამი ქულა აართვა და ნახევარფინალშიც გააღწია. ნახევარფინალში ითამაშებენ ტურნირის მასპინძელი გერმანია და არგენტინა, რომლებიც A ჯგუფის პირველოსნის ვინაობას დღეს ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ. ქვემოთ კი მეორე ტურის მატჩთა იმ ამბებზე მოგითხრობთ, რომლებმაც მედიისა და სპეციალისტთა გამორჩეული ყურადღება მიიპყრეს*



იაპონელთა მწვრთნელი ზიკო „ბერძენ“ კოლეგა ოტო რეჰაგელს ნამატჩევს გულთბილად გადაეხვია

**„ტუნისთან** მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასია“ — ამბობდა აფრიკელებთან თამაშის წინ იურგენ კლინსმანი და გერმანელთა უმრავლესობა მას ეთანხმებოდა. საქმე ისაა, რომ წაგების ან თუნდაც ფრის შემთხვევაში, ბუნდესნაკრების სანახევარფინალო შანსი ძალიან მცირდებოდა. გერმანულმა პრესამ გაიხსენა, რომ ნაციონალმანშაფტს ტუნისის ნაკრებთან ორჯერ უთამაშია და ორივეჯერ ფრედ (1978 წლის მუნდიალზე 0:0, 1993-ში 1:1). მერე კიდევ, ახლა აფრიკელები საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობენ, რაც პირველ ტურში არგენტინასთან მატჩშიც დაამტკიცეს. ტუნისი ტუნისად და ჰერ კლინსმანს საკუთარი გუნდის დაცვის უნიათო თამაშიც უღრღნიდა გულს. გავიხსენოთ, რომ ავსტრალიასთან მოგებული თამაშის მერე, მედიამ ბუნდესნაკრების დაცვა, განსაკუთრებით კი 20 წლის რობერტ ჰუთი გვარიანად აკრიტიკა. ამის მიუხედავად, კლინსმანი ჩელსელს კვლავ ენდო, ოღონდ მატჩამდე ოთახში გამოუკეტია და ორი საათი ავსტრალიასთან შეხვედრის ვიდეოფირს აჩვენებდა, ჰუთისთვის ის ეპიზოდები გაურჩევია, რომლებშიც ახალგაზრდა ფეხბურთელის შეცდომები იყო ალბეჭდილი.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ წინა მატჩთან შედარებით, კლინსმანმა ძირითად შემადგენლობაში იენს ლემანი, სებასტიან დაისლერი და ჯერალდ ასამოა დააყენა. ბუნდესმწვრთნელმა მტრადმოკიდებული ყოფილი თანაგუნდელის, ლოთარ მათეუსის რჩევაც გაითვალისწინა და მიხაელ ბალაკს პლეიმეიკერობასთან ერთად მცველთა დახმარებაც დაავალა. როგორც გამოჩნდა, ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა, თუმც სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ აფრიკელებმა გვარიანად აწვალეს მასპინძლები, 74-ე წუთამდე ტოლ-სწორად ეთამაშნენ და მხოლოდ ბალაკის მიერ გატანილი პენალტის მერე გატყდნენ.

გერმანულმა პრესამ ისევ არ დაიშურა საქებარი სიტყვები ბასტიან შვაინსტაიგერისა და ლუკაშ პოდოლსკის მისამართით. ნაციონალმანშაფტის ამ ჯეელებმა მართლაც ლომის წილი დადეს გამარჯვებაში, ხოლო როგორ აფასებს თვისტომთა თამაშს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი იურგენ გრაბოვსკი, ქვემორე ინტერვიუში გაეცნობით.

**— ჯერ გერმანია-ტუნისის მატჩზე გვითხარით...**

— პირველი 25 წუთის მანძილზე ტუნისელები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. მეორე ტაიმში გერმანელები უპირატესობას დაეუფლნენ და დიდი ანგარიშითაც იმარჯვეს, თუმც სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ნაკრებმა კიდევ უნდა მოუმატოს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წარმატებით ითამაშოს.

**— იურგენ კლინსმანი ამბობს, რომ კონფედერაციის თასის მოგება სურს. აქვს კი ამის შანსი ნაციონალმანშაფტს?**

— გუნდმა ორი შეხვედრა უკვე მოიგო და ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ნაკრების ნამდვილი ძალა არგენტინასთან მატჩში გამოჩნდება. ხოსე პეკერმანს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და მეეჭვება, ჩვენებმა არგენტინის დამარცხება შეძლონ. მაგრამ ერთიცაა, შინ ვთამაშობთ და გერმანელი ფეხბურთელები ვალდებულნი არიან ქომაგებთან არ შერცხვნენ.

**— იზიარებთ იმ აზრს, რომ შვაინსტაიგერმა და პოდოლსკიმ ნაკრები გააძლიერეს?**

— ჩვენი ნაკრები ახალგაზრდაა და ეს კარგია. შვაინსტაიგერი და პოდოლსკი კი უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან. მომავალში ამ ორ მოთამაშეზე შეიძლება ნაკრების აშენება.

**— ბევრს ლაპარაკობენ დაცვის გაუმართაობაზე...**

— სამართლიანადაც. გუნდს ბევრი გოლი გააქვს, მაგრამ ბევრსაც უშვებს. კლინსმანი მაინც ენდობა ახალგაზრდა მცველებს და ვფიქრობ, რომ სწორადაც იქცევა. ამ ბიჭებმა ასეთ მატჩებში, ამხანაგურ შეხვედრებს ვგულისხმობ, საკუთარ შეცდომებზე უნდა ისწავლონ.

**— როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე არგენტინის ნაკრებმა?**

— ზემოთაც გითხარით, არგენტინა ძალიან მომეწონა. ავსტრალიასთან 3:0 დაწინაურების მერე, პეკერმანის ბიჭებმა საქმე გაკვირვებულად ჩაითვალეს და მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს, თუმც, როცა დასჭირდათ, კვლავ ჩვეულად ითამაშნენ. ვფიქრობ, არგენტინა ტურნირის ფავორიტია.

**— კლინსმანს ყოველ მატჩში საუკეთესო შემადგენლობა გამოჰყავს, პეკერმანმა კი ექსპერიმენტებისთვის მოიცალა...**

— კონფედერაციის თასი ჩვენთვის გენერალური რეპეტიციაა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, არგენტინელები კი თავს უფლებას აძლევენ, ის ფეხბურთელები გამოსცადონ, რომლებიც ძირითადში ადგილის დამკვიდრებას ეშურებიან, თუმც, ჩემი აზრით, პეკერმანი გერმანიასთან მატჩში მხოლოდ საუკეთესოებს ათამაშებს.

**— ბრაზილიაზე რას გვეტყვით...**

— სამწუხაროდ, ბრაზილია– [illegible]



იურგენ კლინსმანი შეგირდებს მუდმივად სწავლისკენ მოუწოდებს



კარლოს ალბერტო პარეირას ბრაზილია მექსიკასთან შერცხვა



დალმა მარადონა პატარაობიდანვე მტირალა იყო



დიდი დიეგო და მისი პრინცესა დალმა

# უბრალოდ, დალმა

## ზღაპარი მშვენიერ პრინცესაზე

*მას ბობოქარი ცხოვრების რიტმი, ლეგენდარული მამა დიეგო და მშობლიური „ბოკა ხუნიორსი“ სიგიჟემდე უყვარს, თუმც ამავდროულად ჰყავს საქმრო, რომელიც „ბოკას“ დაუძინებელი მტრის, „რივერ პლეიტის“ თავგადაკლული ქომაგია... „მამაჩემს ერთ რამეში ძალიან ვგავარ — ჩვენი სიჯიუტით ნაცნობ-მეგობრებს ხშირად ვაცოფებთ ხოლმე“ — იცინის დალმა მარადონა, რომლის არგენტინულ „კლარინთან“ გულახდილ საუბარსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ*

დალმა 16 წლის იყო, როცა ენაზე პირსინგი გაიკეთა. მაშინ მშობლებს აღუთქვა, რომ თვრამეტისა „ამ სიმახინჯეს“ მოიცილებდა, მაგრამ ეს პატარა რკინის ბურთულა ისე ძალიან შეუყვარდა, რომ მასთან განშორება ორი წლის მერეც ძალიან უჭირს... „კოცნის დროს არც მე მაწუხებს პირსინგი და არც ჩემს შეყვარებულს, ამიტომაც მის მოცილებას არ ვაპირებ“ — გვეუბნება ლამაზი პრინცესა და გვიყვება, თუ როგორ აღმოჩნდა მის ენის წვერზე „ეს საშინელი სიმახინჯე“.

„ამ სახლში ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს!“ — გამწარებული ყვიროდა დედა კლაუდია, როცა ბონდ სტრიტიდან შინ დაბრუნებულმა ქალიშვილმა გახვრეტილი ენა აჩვენა. „კი მაგრამ, დედა, განა შენ თვითონ არ მითხარი, როგორც გინდა, ისე მოიქეციო“ — შეეპასუხა პატარა პრინცესა. „ჩემს დროს, „გააკეთე რაც მოგესურვება“, შინ ენაგახვრეტილი მოსვლას არ ნიშნავდა“ — უპასუხა გაბრაზებულმა კლაუდიამ“.

— და მამამ რა გითხრა პირსინგის შესახებ?

— პირველად ძალიან შემეშინდა, დიეგოს ამ უცნაური საქციელისთვის არ დავესაჯე, მაგრამ როცა მნახა, თქვა — აჰა, ასეც მოგიხდებაო... მაშინვე შვებით ამოვისუნთქე.

### მჩხავანას არ გეტყვი

დალმა სამყაროს 1987 წლის 2 აპრილს მოევლინა. „კლინიკა დელ სოლში“ დაიბადა და 4 კილოსა და 320 გრამს იწონიდა. „მერე მიყვებოდნენ, რომ დიდი, დიდი თეთრი ბურთი ვიყავი. მერე კლაუდიამ მთელი ჩემი ცხოვრება ფოტო და ვიდეოფირზე აღბეჭდა“ — ამბობს მარადონას ქალიშვილი. მართლაც, დედამისმა მთელი მისი ბავშვობა და შემდგომი პერიოდი ვიდეოზე გადაიღო. თავად პრინცესას კი ეღიმება, როცა ამას იხსენებს: „კლაუდიას მადლიერი ვარ. დღეს ძველ ფოტოებს და ვიდეოს რომ ვუყურებ, სიცილს ძლივს ვიკავებ“. აგერ ერთი ძველი სურათიც — ორი წლის დალმა ნეაპოლში, მარადონას სახლის აივანზე გადმომდგარა და მითიური კაცის მოლოდინში ერთ ადგილზე ჯიუტად გაშეშებულ ტიფოზებს რაღაცას უყვირის. „გულშემატკივრების შემოსევა არ მიყვარდა. როცა დიეგოს სანახავად ჩვენი აივნის ქვეშ ასობით ადამიანი იკრიბებოდა, სულ ვუყვიროდი ხოლმე. მათი გასართობი ვიყავი, ნეაპოლელებს სიცილით ვახრჩობდი“.

— ასე პატარამაც იცოდი, რომ მამაშენი ლეგენდა იყო?

— ალბათ კი, რადგანაც როცა მეკითხებოდნენ, დედაშენს რა ჰქვიაო, კლაუდია — კლაუდია. მაგრამ, როცა მამის სახელს მკითხავდნენ, სულ ერთი პასუხი მქონდა — არ გეტყვი..

### ფუ, თევზი...

პატარა დალმას სამშობლოს გარეთ გატარებული წლები ცუდად დაამახსოვრდა. „დაწყებით კლასებში სევილიაში ვსწავლობდი, მაგრამ იქაურობას ვერ შევეჩვიე. განსაკუთრებით სკოლის ბუფეტი მეზიზღებოდა — არც შემწვარ თევზს და არც სხვა ისეთ რაღაცეებს არ ვჭამდი, რასაც სევილიელები მიირთმევდნენ. მახსოვს, ერთხელ სკოლაში შემწვარი თევზი ჰქონდათ და შინ ღრიალით დავბრუნდი. ვამბობდი, აქ საერთოდ რას ვაკეთებმეთქი. მერე კი ბებია, დედაჩემის დედა ჩამოვიდა და ბუენოს აირესში, არგენტინაში წამიყვანა“.

— შენი იქაური დაქალები ალბათ მამაშენის გაცნობაზე გიჟდებოდნენ...

— პუებლო ბლანკოში რომ ვსწავლობდი, დიეგო მათთვის ერთი ჩვეულებრივი კეთილი ძია იყო — გოგონებს ხომ ნაკლებად ესმით ფეხბურთი და სხვა ამგვარი რამეები. მამაჩემი სწავლის დამთავრებისას კოლეჯს მიკროავტობუსით მოადგებოდა ხოლმე და 25 გოგოს სახლებში ჩამოგვარიგებდა. მერე სანედუარდოში გადავედით და იქ გავიგე, მისი შვილობა რას ნიშნავდა. მამაჩემის ჩვენთან გამოჩენა, რაღაც შეშლილ ფიესტას ჰგავდა, თუმც საბოლოოდ დიეგო იმათაც უახლოეს მეგობრად მიიღეს.

— შენი და ჯანინა შენზე ორი წლით პატარაა. შინაური კინკლაობის დროს რომელი ერეოდით?

— მე სულ წაგებული ვიყავი, რადგან ჯანინა ჩემზე ძლიერია. მე კი პირიქით. მასთან შეკამათებას აზრიც არა აქვს, ზუსტად მამაჩემის ხასიათი აქვს. აბა, სცადეთ დიეგოს დამარცხება, ისევეა ჯანინაც.

— შენ რითი ჰგავხარ დიეგოს?

— სიჯიუტით. ჩვენი სიჯიუტით ნაცნობ-მეგობრებს ხშირად ვაცოფებთ ხოლმე.

— ჯანინისთან პატარაობისას რაზე ჩხუბობდი?

— სათამაშოებისა და თოჯინების გამო. ბევრი თოჯინა თუ სათამაშო გვქონდა, მაგრამ საკმარისი იყო, ჩემთვის რაიმე ახალი მოეტანათ, რომ ჯანინასაც იგივე უნდოდა. საერთოდ, ჩემი და დედაზე ძალიან იყო დამოკიდებული — კლაუდიას ბალში რომ მიჰყავდა, ჯანინა მანქანის გასაღებს ართმევდა, რათა დედა უკან არ წასულიყო. საწყალი კლაუდია, მთელი დღე იქ იჯდა, სანამ ბავშვებს შინ დაბრუნების დრო არ დაუდგებოდათ.

— მამასთან როგორ იქცეოდით?

— მამაზე ჯანინა იყო გაბატონებული. წარმოიდგინეთ, დედა დილით, ჩემს დას კოლეჯში წასასვლელად დიდის ამბით ამზადებს, მერე კი ერთი საათის შემდეგ ტელევიზორში ხედავს, თუ როგორაა გამოჯგიმული ჯანინა კოლეჯის უნიფორმაში საწვრთნელ ბაზაზე მამას გვერდით.

„დიეგო, ბავშვი მანდ რას აკეთებს?“ — ურეკავდა გაოცებული კლაუდია. „იცი, მითხრა, კოლეჯში არ მინდაო და მეც უარი ვერ უთხარი“ — იყო პასუხი. დედა ცოტათი გვეწინააღმდეგებოდა, თორემ მამა მუდამ ჩვენი ინჩასი იყო.

— არ გინდა, რომ დედ-მამა ისევ ერთად იყვნენ?

— პირიქით, ვფიქრობ ცალ-ცალკე უფრო კარგად ცხოვრობენ და ერთმანეთს ჩინებულად უგებენ. დარწმუნებული ვარ, კლაუდიას დიეგო ადრინდელზე მეტად უყვარს. იცით, ჩვენთან სახლში, მამაჩემისა და დედაჩემის ურთიერთობაზე საუბარი მიღებული არ არის.

— თუ ასეა, მაინც გკითხავ. ამბობ, ახლა ერთმანეთს ჩინებულად უგებენო. ადრე ძალიან ჩხუბობდნენ?

— ჩხუბი და სკანდალები არ ყოფილა, ოღონდ თუ გაბრაზდებოდნენ, შეეძლოთ, თვეობით არ გაეცათ ხმა ერთმანეთისთვის. დედას მამა ძალიან უყვარს — დიეგოს ძველი, მშობლების სახლი სწორედ კლაუდიამ მორთო და მოაწყო.

### ჭრელი ოთახი

როცა დალმა 15-ის გახდა, ორი ფანტასტიკური საჩუქარი მიიღო.

„პირველი განსაკუთრებით ზღაპრული გამოდგა, დაბადების დღე თვით „ბოკა ხუნიორსის“ არენაზე „ლა ბომბონერაზე“ გადამიხადეს. ხუთასამდე სტუმარი გვყავდა და საოცარი ზეიმი იყო. ამას დიეგოს ვერასდროს დავუვიწყებ — მარადონას შვილი რომ არ ვყოფილიყავი, „ბომბონერაზე“ ამ დღესასწაულს ვინ მომიწყობდა“.

გარდა ამისა, პრინცესას ახალი დეკორაციები აჩუქეს მისი ოთახისთვის. ჰოდა, დალმამაც აიწყვიტა, ბავშვობისდროინდელი სამყოფელი ისეთი ფერებით მორთო, რომ იქ შესული კლაუდია თავის ტკივილს უჩიოდა. „დედამ მითხრა, ფერების სიჭრელით თავი მტკივაო, მე კი პირიქით, აჭრელებული კედლები და საბნები ძალიან მომწონს. ეს ჩემი ოთახია, ჩემი ციხესიმაგრე, სადაც საყვარელ ფილმებს ვუყურებ. დიეგომ ამასწინათ კოლუმბიიდან 30 ახალი ფილმი ჩამომიტანა და მეც დღეში სამს ვნახულობ“.

— დიეგოს საქმრო სად და როგორ გააცანი?

— ანეკდოტივით ამბავი იყო. „ბოკას“ თამაშზე მივდიოდით და უცებ სახლიდან დიეგო გამოდის. „მამა, ეს ფერნანდოა“ — ვუთხარი აკანკალებულმა. „გაუმარჯოს!“ — გვითხრა დიეგომ და... მანქანით სადღაც წავიდა! მერე მამაჩემი კინაღამ მოვკალი, სასიძოს ადამიანურად რატომ არ მოექეცი-მეთქი. საბოლოოდ რესტორანში შევახვედრე ერთმანეთს.

### აქეთ ბოკა, იქით რივერი: გაუმარჯოს სიყვარულს!

მისი რჩეული ფერნანდო მოლინა გახლავთ, 21 წლისაა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს. ფერნანდოს კამერა არ უყვარს, თუმც მშვენივრად იცის, დალმას რომ მსახიობობა უნდა და საწინააღმდეგოც არაფერი აქვს.

„ის კი არა, „ბოკას“ თამაშებზე სულ ერთად დავდიოდით. მერე კი, გამოირკვა, რომ ფერნანდო, თურმე „რივერ პლეიტის“ გულშემატკივარი ყოფილა. მე თუ მკითხავთ, აი, ეს არის ნამდვილი სიყვარული. ერთ მშვენიერ დღეს მეუბნება — დალმა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ჩემი მეტოქე გუნდის საქომაგოდ ვერ წამოგყვებიო. აჯობებს, „ბოკას“ მხარდასაჭერად შენს ბიძაშვილებთან ერთად იაროო. აი, ასე დამთავრდა ფერნანდოსა და „ბოკას“ ნაძალადევი ფლირტი, ჩვენი სიყვარული კი უფრო განმტკიცდა“.

— დიეგომ რა გითხრა „რივერის“ ფანატი საქმროს შესახებ?

— ცუდი არაფერი. ფერნანდო და მამა უკვე ძმაკაცები არიან.

— ლეგენდარული ადამიანის შვილობა, რაღაც მომენტში მომაბეზრებელი ხომ არ არის?

— მომაბეზრებელია და, მერე როგორ.. ხანდახან მინდა, ჩემს გარშემო მუდმივად მოფუსფუსე პაპარაცები სადღაც შორს გავრეკო. პოპულარობა კარგია, მაგრამ როცა პალერმოში, მეგობრებთან ერთად საცვალს ყიდულობ, ამას კი ფირზე ათასი ფოტომონადირე იღებს, მოთმინებიდან გამოდიხარ...

### ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს...

„ბურთზე ყოველთვის გადარეული ვიყავი. ჩემს ბიძაშვილებთან ერთად დილიდან-დაღამებამდე ფეხბურთს ვთამაშობდი და ხშირად ბიჭებისთვის მიჯობნია კიდეც. ფეხბურთელი არ ვარ, მაგრამ სპორტის ამ სახეობაში კერპი, რა თქმა უნდა, მყავს“.

— მატიას ალმეიდა კიდევ მოგწონს?

— ჩუმად გეტყვი, ვგიჟდები ალმეიდაზე. ჩემი საქმრო მომკლავს, ეს რომ მომისმინოს, თუმც იცის, ალმეიდას თამაშისადმი გულგრილი რომ არ ვარ. ასევე მომწონს ფედერიკო ინსუა და დევიდ ბექჰემი.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 15:00 | 2 | შინიკი-ცსკა | 4.00 | 3.10 | 1.85 | 1.74 | 1.26 | 1.15 |
| 15:00 | 3 | ლოკომოტივი-კრილია | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 32 | სუნდსვალი-კალმარი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:00 | 33 | ჰეკენი-გიოტებორგი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 39 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 40 | ფრიოლუნდა-იოსტერსი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 21:00 | 41 | ფალკენბერგი-აიკ | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 21:00 | 42 | მიალბი-ლიუნგსკილე | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 21:00 | 43 | იორებრო-ვესბი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 44 | ვესტეროსი-ტრელებორგი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 23:45 | 45 | ბოდენსი-ბრომაპოიკარნა | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 46 | გაის-დეგერფორსი | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში (20)** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 159 | იტალია(20)-აშშ(20) | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:30 | 160 | მაროკო(20)-იაპონია(20) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:30 | 164 | ჩინეთი(20)-გერმანია(20) | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 22:30 | 165 | ბრაზილია(20)-სირია(20) | 1.20 | 5.50 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.48 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19:30 | 161 | კოლუმბია(20)-არგენტინა(20) | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |
| 19:30 | 162 | უკრაინა(20)-ნიგერია(20) | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 22:30 | 166 | ჰოლანდია(20)-ჩილე(20) | 1.35 | 4.00 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.58 |
| 22:30 | 167 | ესპანეთი(20)-თურქეთი(20) | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 154 | ზაგლებე-გროცლინი | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 163 | ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 8.50 | 4.60 | 1.25 | 2.98 | 1.08 | 1.00 |
| | | **ბრაზილიის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 134 | ფლუმინენსე-პაულისტა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **კონფედერაციის თასი** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 132 | ავსტრალია-ტუნისი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 22:45 | 133 | არგენტინა-გერმანია | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:45 | 155 | საბერძნეთი-მექსიკა | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 156 | იაპონია-ბრაზილია | 8.00 | 4.20 | 1.30 | 2.75 | 1.11 | 1.00 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 158 | სან პაულუ-რივერ პლეიტი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 157 | ატლეტიკო პრ-ჩივასი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 151 | სან ანტონიო-დეტროიტი | 1.40 | 12.00 | 2.85 | 1.25 | 1.00 | 2.30 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22:15 | 153 | რეალი-ტაუ | 1.60 | 12.00 | 2.20 | 1.41 | 1.00 | 1.85 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი უიმბლდონი კაცები** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 13:00 | 456 | ნოვაკი-ვესელსი | 1.50 | 2.40 | | | | |
| 13:00 | 457 | ჰაასი-ტიპსარევიჩი | 1.10 | 4.70 | | | | |
| 13:00 | 458 | იოჰანსონი ტ-ულირახი | 1.10 | 4.70 | | | | |
| 13:00 | 459 | შტეპანეკი-ჯინეფრი | 1.30 | 2.80 | | | | |
| 13:00 | 460 | ნალბანდიანი-სლიუტერი | 1.25 | 3.00 | | | | |
| 13:00 | 461 | მიულერი-მანტილა | 1.35 | 2.70 | | | | |
| 13:00 | 462 | ნადალი-სპეიდი | 1.30 | 3.00 | | | | |
| 13:00 | 463 | ჰენმენი-ნიემინენი | 1.10 | 4.80 | | | | |
| 13:00 | 464 | ტურსუნოვი-ალმაგრო | 1.35 | 2.60 | | | | |
| 13:00 | 465 | პოპი-ჰენნელი | 1.30 | 3.00 | | | | |
| 13:00 | 466 | არტურსი-ვოლანდრი | 1.20 | 3.60 | | | | |
| 13:00 | 467 | ფერერი-გარსია ლოპესი | 1.65 | 1.95 | | | | |
| 13:00 | 468 | განესკუ-კარლსენი | 1.80 | 1.80 | | | | |
| 13:00 | 469 | გროსჯანი-ლოდრა | 1.25 | 3.50 | | | | |
| 13:00 | 470 | კორია-ბერენდი | 1.15 | 4.50 | | | | |
| 13:00 | 471 | მალისი-მერეი | 1.12 | 4.60 | | | | |
| 13:00 | 472 | ლიუბიჩიჩი-მელცერი | 1.40 | 2.40 | | | | |
| 13:00 | 473 | სოდერლინგი-ანდრეევი | 1.40 | 2.70 | | | | |
| 13:00 | 474 | როდიკი-ვანეკი | 1.01 | 8.00 | | | | |
| 13:00 | 477 | მირნი-შუტლერი | 1.40 | 2.60 | | | | |
| 13:00 | 478 | სანტორო-ვავრინკა | 1.40 | 2.60 | | | | |
| 13:00 | 479 | როხუსი ო-გოლდშტაინი | 1.20 | 3.80 | | | | |
| 13:00 | 480 | კლემანი-ლუ | 1.30 | 2.90 | | | | |
| 13:00 | 481 | პაველი-კარანუშიჩი | 1.60 | 1.95 | | | | |
| 13:00 | 482 | მიურეი-ბასტლი | 1.55 | 2.10 | | | | |
| 13:00 | 483 | ელსნერი-სტარაჩე | 1.30 | 3.00 | | | | |
| 13:00 | 484 | ჯოკოვიჩი-მონაკო | 1.30 | 3.10 | | | | |
| 13:00 | 485 | კეტოლა-კალატრავა | 1.20 | 3.50 | | | | |
| 13:00 | 486 | სანჯინეტი-სეპი | 1.45 | 2.30 | | | | |
| 13:00 | 487 | კარლოვიჩი-ბრაჩიალი | 1.30 | 3.20 | | | | |
| 13:00 | 506 | ჰორნა-კუჩერა | 1.90 | 1.65 | | | | |
| 13:00 | 507 | გასკე-კოლშრაიბერი | 1.15 | 4.00 | | | | |
| | | **ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 14:00 | 408 | შარაპოვა-ლაგოსტერა | 1.05 | 7.50 | | | | |
| 14:00 | 409 | გოლოვინი-ბონდარენკო | 1.15 | 4.50 | | | | |
| 14:00 | 410 | რაიმონდი-პანოვა | 1.40 | 2.60 | | | | |
| 14:00 | 411 | ზვონარიოვა-ვაინგარტნერი | 1.10 | 5.50 | | | | |
| 14:00 | 412 | პეტროვა-პასკუალი | 1.15 | 4.50 | | | | |
| 14:00 | 413 | ხანტუჩოვა-ლინეცკაია | 1.55 | 2.00 | | | | |
| 14:00 | 414 | ივანოვიჩი-დუშევინა | 1.60 | 1.95 | | | | |
| 14:00 | 415 | დულკო-ფედაკი | 1.15 | 4.50 | | | | |
| 14:00 | 416 | ენინი-დანილიდუ | 1.05 | 7.50 | | | | |
| 14:00 | 417 | გარბინი-ვაკულენკო | 1.85 | 1.75 | | | | |
| 14:00 | 418 | სანტანჯელო-პუჩეკი | 1.55 | 2.00 | | | | |
| 14:00 | 419 | მარტინესი-ბონდარენკო კ | 1.20 | 3.50 | | | | |
| 14:00 | 423 | პენეტა-გალიარდი | 1.60 | 2.20 | | | | |
| 14:00 | 424 | ხლადკოვა-ფორეცი | 1.70 | 2.00 | | | | |
| 14:00 | 425 | პერსი-საფაროვა | 1.45 | 2.65 | | | | |
| 14:00 | 426 | ვ.უილიამსი-ბირნეროვა | 1.03 | 8.00 | | | | |
| 14:00 | 427 | პრატი-ჩერვანოვა | 1.45 | 2.40 | | | | |
| 14:00 | 428 | პირი-ტუ | 1.60 | 2.00 | | | | |
| 14:00 | 429 | ბარტოლი-ფუჯივარა | 1.40 | 2.50 | | | | |
| 14:00 | 430 | კრეიბასი-ხალკლეროდი | 1.75 | 1.85 | | | | |
| 14:00 | 431 | ს.უილიამსი-ჰეინსი | 1.03 | 7.50 | | | | |
| 14:00 | 432 | შოული-ბელტრეიმი | 1.70 | 2.10 | | | | |
| 14:00 | 433 | ონდრაშკოვა-ბლეიკი | 1.70 | 2.10 | | | | |
| 14:00 | 434 | რაზანო-კასტანო | 1.15 | 3.90 | | | | |
| 14:00 | 435 | სკიავონი-ბრანდი | 1.80 | 1.80 | | | | |
| 14:00 | 508 | პეშკე-რანდრაიტიფი | 1.45 | 2.50 | | | | |
| 14:00 | 509 | დეში-კამერინი | 1.15 | 4.50 | | | | |
| 14:00 | 510 | მედინა-სრებოტნიკი | 1.65 | 1.95 | | | | |
| 14:00 | 511 | პარა-ჩო | 1.70 | 1.90 | | | | |
| 14:00 | 512 | კარატანჩევა-ჯეინსი | 1.20 | 3.90 | | | | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|
| 12132 | ავსტრალია-ტუნისი | 1.70 | 1.90 |
| 12133 | არგენტინა-გერმანია | 1.90 | 1.70 |
| 12155 | საბერძნეთი-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 12156 | იაპონია-ბრაზილია | 2.00 | 1.60 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14132 | ავსტრალია-ტუნისი | 1.65 | 2.00 |
| 14133 | არგენტინა-გერმანია | 1.85 | 1.90 |
| 14155 | საბერძნეთი-მექსიკა | 2.00 | 1.70 |
| 14156 | იაპონია-ბრაზილია | 2.60 | 1.08 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15132 | ავსტრალია-ტუნისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | არგენტინა-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | საბერძნეთი-მექსიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | იაპონია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17132 | ავსტრალია-ტუნისი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | არგენტინა-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17155 | საბერძნეთი-მექსიკა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | იაპონია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11132 | ავსტრალია-ტუნისი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11133 | არგენტინა-გერმანია | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11155 | საბერძნეთი-მექსიკა | 4.5 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 11156 | იაპონია-ბრაზილია | 12.0 | 12.0 | 20.0 | 14.0 | 5.0 | 3.5 | 30.0 | 15.0 | 1.55 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13132 | ავსტრალია-ტუნისი | 1.70 | 1.90 |
| 13133 | არგენტინა-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13155 | საბერძნეთი-მექსიკა | 1.70 | 1.90 |
| 13156 | იაპონია-ბრაზილია | 1.90 | 1.70 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10132 | ავსტრალია-ტუნისი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10133 | არგენტინა-გერმანია | 2.90 | 2.00 | 3.10 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10155 | საბერძნეთი-მექსიკა | 3.60 | 2.00 | 2.60 | 1.28 | 1.50 | 1.13 |
| 10156 | იაპონია-ბრაზილია | 7.00 | 2.60 | 1.50 | 1.89 | 1.23 | 1.00 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| თბილისი | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| თბილისი | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| თბილისი | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| თბილისი | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| თბილისი | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| თბილისი | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| თბილისი | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| თბილისი | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| თბილისი | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| თბილისი | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| თბილისი | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| თბილისი | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| თბილისი | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| თბილისი | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| ქუთაისი | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| ქუთაისი | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**მოსკოვში** მიმდინარე სნგ-სა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე სხვა თანამემამულეთა დარად გარკვეულ წარმატებას ქართველმა კალათბურთელებმაც მიაღწიეს. გელა წულაძისა და ნიკო ჩერქეზიშვილის აღსაზრდელებმა უკვე საუკეთესო ოთხეულში დაიმკვიდრეს ადგილი და თუ კიდევ გაუმართლათ, მოსკოვიდან მედლებით დამშვენებულები დაბრუნდებიან. ჩვენებმა პირველ მატჩში ჩინეთის ბუმბერაზი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ ნაკრებს სძლიეს, შემდეგ კი მოლდოველები გაანადგურეს და ახლა უძლიერესთა ქვეჯგუფის მატჩებისთვის ემზადებიან. გუშინ მოსკოვში ჩვენი ნაკრების მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს შევეხმიანეთ...

— ორი მატჩი ვითამაშეთ და უკვე დიდი სიმპათიებიც დავიმსახურეთ. ტურნირის ყველა მონაწილე კეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ და ზოგიერთმა სპარინგ-მატჩების გამართვაც შემოგვთავაზა.

**— სამომავლოდ დაგეგმეთ სპარინგ-მატჩები?**

— არა, ტურნირის მსვლელობისას ვითამაშებთ ორ ამხანაგურ მატჩს. ახლა აქ ორდღიანი შესვენებაა და დროს არ ვკარგავთ. დღეს ესტონეთს ვეთამაშებით, ხვალ კი ბელარუსს.

# არის ოთხეულში!

## ქართველებმა მოსკოვში ჩინური კედელი დაანგრიეს



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

**— მერე ეს მატჩები არ გადაღლის ჩვენს ნაკრებს?**

— ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა გუნდის შეთამაშებას უფრო აქვს, ვიდრე მაღალი შედეგის მიღწევას. ჩვენს ნაკრებს აშკარად ეტყობა წინსვლა და რაც უფრო მეტ შეხვედრას გავმართავთ, სამომავლოდ, ბულგარეთის ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის გამოგვადგება. ისე, არც ახლა ვამბობთ მედლებზე უარს. როგორც აქ მყოფი სპეციალისტები ვარაუდობენ, ქართველებს ფინალში გასვლაც შეუძლიათ.

**— თავად როგორ შეაფასებთ ფინალში თამაშის პერსპექტივას?**

— ვნახოთ, ვინ იქნება ჩვენი მეტოქე ნახევარფინალში. საუკეთესო ოთხეულში ჩვენთან ერთად რუსეთის, უკრაინისა და ლიტვის ნაკრებები მოხვდნენ. რუსებს და უკრაინელებს აშკარად გადაზრდილები ჰყავთ და მათ არ ვისურვებდი ნახევარფინალურ მეტოქეებად. ლიტვა ღირსეული მეტოქე იქნება. ის და ჩვენი ნაკრები, აქაურთა მტკიცებით, ყველაზე გამართულ კალათბურთს თამაშობენ ტურნირზე.

**— აქამდელ მატჩებზე რას იტყვით და ვინაა მომავალი მეტოქე?**

— ყველა გაოცებული დარჩა, ჩინელები რომ დავამარცხეთ. ამ ნაკრებს თითქმის 210 სანტიმეტრის ასაკობრივი მოთამაშე ჰყავდა. ერთი მათგანი სულაც 218 სანტიმეტრი იყო. მთელი თამაშის განმავლობაში ტოლ-სწორად გვებრძოდნენ ჩინელები და ბოლოსღა მოვახერხეთ მათი გატეხვა. მართალია, საბოლოოდ 31 ქულით დავამარცხეთ ჩინელები, მაგრამ იოლი გამარჯვება ნამდვილად არ ყოფილა.

**— იოლად მოლდოვას მოუგეთ...**

— მოლდოველები 42 ქულით დავამარცხეთ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ამ ორი მატჩის მოგებით საუკეთესო ოთხეულში მოვხვდით და ახლა თითოჯერ შევხვდებით რუსეთის, უკრაინისა და ლიტვის ნაკრებებს. შემდეგ საუკეთესო შედეგის მქონე მეოთხეზე გასულს შეხვდება ნახევარფინალში, მეორე კი — მესამეს.

**— ვის გამოარჩევდით ამ მატჩებში?**

— უკანახაზელებიდან ბექა წიკლაურსა და ალეკო ძიძიგურს, თავდამსხმელთაგან კი რიჩარდ მათიაშვილს. ლევან შენგელიასა და დავით მაისურაძეს ამ მატჩებს მხარს მშვენივრად უბამდნენ ცენტრები და ჯერჯერობით პრობლემა არ შეგვქმნია.

**ირაკლი პერტაია**

# NBA PLAY OFF 2005 ფინალი

**სან ანტონიო 3:2 დეტროიტი**

19 ივნისი. დეტროიტი. ობურნ ჰილზ პალასი. 22 067 მაყურებელი

# ესროლა რობ ჰორიმ

## ომს რეზერვისტები იგებენ

**დეტროიტი 95:96 სან ანტონიო**

23:21 19:21 21:22 26:25 6:7

**დეტროიტი**: ბილაფსი (34), ჰამილტონი (15), პრინსი (10), რ. ვოლესი (12), ბ. ვოლესი (13 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება); მაკდაიესი (9), ჰანტერი (2)

**სან ანტონიო**: პარკერი (14), ჯინობილი (15 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ბოუენი (10), დანკანი (26 ქულა, 19 მოხსნა), მუჰამედი (6); ჰორი (21), ბერი (3), ბრაუნი (1)

**დროის** ამოწურვამდე 10 წამიც აღარ რჩებოდა, როცა „სან ანტონიოს“ შეტევისას დეტროიტელმა რაშიდ ვოლესმა უპატრონოდ მიატოვა ოპონენტი რობერტ ჰორი და სადღაც კუთხეში ბურთიან მანუ ჯინობილიზე მეორე მეურვედ მივიდა. იფიქრა, თანაგუნდელს მივეხმარები, ემანდ ეს თევზივით არგენტინელი ხელიდან არ გაუსხლტესო. იქნებ სწორადაც მოიქცა, ჯინობილისთვის ხომ ერთი მოწინააღმდეგის „დამუშავება“ უნცია პრობლემასაც არ წარმოადგენს, მაგრამ როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ უჩვენა, ეს იყო ძალიან ცუდი აზრი. იმ მომენტში რაშიდს არ გახსენებია, რომ რობერტ ჰორის შორიდან ტყორცნა გადასარევად ეხერხება და ცხოვრებაში იმდენჯერ ჩაუგდია გამარჯვების მომტანი ბურთი, დათვლა გაუძნელდება. რაშიდმა თავში ხელი რომ შემოიკრა, გვიანი იყო, „სან ანტონიო“ უკვე 96:95 იგებდა, მკვლელი სამქულიანის გამსროლი ჰორი კი გახარებულ თანაგუნდელთა მკლავებში იჭყლიტებოდა.

გამოდის, თავისი გუნდი, ზედიზედ ორი თამაშის მომგები და მესამეშიც მოლიდერე „დეტროიტი“, სწორედ რაშიდმა დაღუპა. ნამატჩევს სახედაღლილი, მაგრამ მაინც გაბადრული ჯინობილი ამბობდა — „ბურთი მე მქონდა და რაღა დაგიმალოთ, ტყორცნას ვეშურებოდი, მაგრამ ჩემკენ დაძრულ რაშიდს თვალი რომ მოვკარი, მაშინვე რობერტი გამახსენდა და პასი მივეცი. ის იმდენჯერ ყოფილა მსგავს ვითარებაში, რომ ჩემზე და ალბათ ყველაზე კარგა იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს.“

ჰორიმ გამარჯვების სამქულიანი ოვერტაიმის დამთავრებამდე 5,8 წამით ადრე ჩააგდო და, მისი აქტივი ამით არ ამოიწურება. ვეტერანი სნაიპერი მთელი თამაში უშენდა ჭურვებს ჩემპიონთა კალათს და 21 ქულაც მოიხვეჭა. მას რომ ხელი არ გამოელო, „სან ანტონიო“ ალბათ ზედიზედ მესამე მატჩსაც დაუთმობდა „დეტროიტს“ და საჩემპიონო რელსებიდან თუ საბოლოოდ არ გადმოვარდებოდა, გვარიანად მაინც გაიმრუდებდა მათ. წინა ორი მატჩის ჯამში 48 (!) ქულით მომგები მასპინძლები ჩონსი ბილაფსის მედროშეობით ახლაც გავეშებით უტევდნენ სტუმრებს და ესენი მედგრად რომ დაუხვდნენ, ყველაზე მეტად ჰორის დამსახურებაა. ყველა რომ ფიქრობდა, „სან ანტონიომ“ ამოწურა შემტევი პოტენციალი და „პისტონზს“ ახალს ვერაფერს შესთავაზებსო „სფურზის“ თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა სათადარიგოთა სკამზე სწორედ ამ დროს იპოვა ახალი ზარბაზანი.

მატჩი მაინც თანაბარი გამოვიდა ამ სერიის ყველა სხვა ჯახისგან განსხვავებით. შეგახსენებთ, რომ წინა ოთხი შეხვედრიდან ერთიც არ დამთავრებულა მოგებულ-წაგებულს შორის 15 ქულაზე ნაკლები სხვაობით, ახლა კი პირველი წუთიდან 53-ემდე ლამის ქულა-ქულაში ბურთაობა გაჩაღდა — ანგარიში 18-ჯერ გათანაბრდა, ხოლო ლიდერი 12-ჯერ შეიცვალა. მეოთხე მეოთხედამდეც ასე წვალებით მივიდნენ მეომარი ფინალისტები და ბოლო წუთებზე ერთმანეთს მნიშვნელოვანი და მეტოქის დამთრგუნავი ბურთების ჩაგდებაში დაუწყეს გაჯიბრება — მასპინძელთაგან რკინის ნერვები აღმოაჩნდა ჩონსი ბილაფსსა და რიპ ჰამილტონს, ხოლო სტუმართაგან ხელი არ აჰკანკალებიათ იმავ რობ ჰორისა და მანუ ჯონობილის.

რაც შეეხება გამარჯვებულთაგან ყველაზე უხვქულიან ტიმ დანკანს, მან ბოლო წუთებზე უამრავი საჯარიმო გააფუჭა (სულ მთელ თამაშში 11-დან 4 გამოიყენა), ხოლო ერთხელ ნახევარი მეტრიდან ისეთი ტყორცნა ააცილა, რუბენ ბუმტიე-ბუმტიეს და სუმაილა სამაკეს შერცხვებოდათ.



ბენ უოლესისა და რობ ჰორის ორთაბრძოლა

ოვერტაიმში კი „დეტროიტი“ დაწინაურდა. ჯერ ოთხი ქულით, ბოლო წამებისთვის კი 95:93 იგებდნენ მასპინძლები, მაგრამ რაშიდ ვოლესმა რობერტ ჰორის ალყა მოხსნა და...

ახლა ფინალისტები სან ანტონიოში გადაბარგდებიან, სადაც თამაში ნებისმიერ სტუმარს უჭირს და გამონაკლისი ვერც „დეტროიტია“. სამხრეთ ტეხასში „პისტონზს“ 1997 წლის აქეთ ზედიზედ ათი მატჩი დაუთმია, მათ შორის მეცხრე და მეათე ამ სერიის პირველი ორი თამაში იყო. ასე რომ...

**კოტე ყორშია**

# ბაკურიანის მომავალი პარიზული გათვლების მაგალითზე

**ხვალ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესია გაიმართება. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხია: „2014 წელს ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარების წინადადების შესახებ". ღირს თუ არა ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა? ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: იმ შემთხვევაში, თუ პარიზი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი გახდება, საფრანგეთის დედაქალაქის მოგება 11 მილიარდ ევროს მიაღწევს. პარიზის სავარაუდო ხეირზე კი უფრო დაწვრილებით აქვე დასტამბული წერილით შეიტყობთ**



AFP პარიზიდან

**ოლიმპიური** თამაშების ეს არა მხოლოდ ულამაზესი მოგონებები, არამედ სპორტული რეკორდები, უწინარეს ყოვლისა კი ბიძგია ქვეყნის მრეწველობის განვითარებისთვის. 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებამდე პირიქით იყო. ოლიმპიური თამაშები წამგებიან ღონისძიებად ითვლებოდა და მის სამასპინძლოდ მაინცდამაინც დიდი გაგვამოდებით არ იბრძოდნენ ქალაქები. მაგრამ ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ნიჭიერმა ორგანიზატორმა პიტერ იუბეროტმა ეს ოლიმპიადა შემოსავლიანად აქცია იმ პირობებშიც კი, როცა ამერიკის ამ ქალაქში საასპარეზოდ არ ჩამოდნენ სოციალისტური ბანაკის ქვეყანათა დელეგაციები.

მოგეხსენებათ, სპორტსმენთა დაყოფა იდეოლოგიური ბარიერებით „ცივი ომის" დროს მსოფლიოს სპორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

და მაინც, ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებს საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების ბოიკოტმა ხელი ვერ შეუშალა კომერციული წარმატების მისაღწევად.

მას შემდეგ ოლიმპიურ თამაშებს მისი ორგანიზატორებისთვის ხელ უფრო მეტი და მეტი ფინანსური მოგება მოაქვს. შესაბამისად, უფრო მწვავე გახდა ოლიმპიური თამაშების ხელში ჩასაგდებად გამართული ბრძოლები.

XXX ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბრძოლის ფინალურ ეტაპზე, როგორც ცნობილია, ხუთი ქალაქი გავიდა. ესენია: პარიზი, ლონდონი, ნიუ იორკი, მადრიდი და მოსკოვი. ჯერჯერობით ფავორიტად საფრანგეთის დედაქალაქი ითვლება. ფრანგები პარიზის გამარჯვებას წინასწარ წეიმობენ. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მაინც 6 ივლისს გაირკვევა სინგაპურში, მანამდე კი ფრანგებმა გადაწყვიტეს გამოიანგარიშონ, თუ რა ფინანსურ მოგებას უნდა ელოდონ ოლიმპიადისგან. ამისთვის მათ მიმართეს დამოუკიდებელ ანალიტიკოსებს და კომპანია BOSTON CONSULTING GROUP-მა ამის გასარკვევად ჩაატარა გამოკვლევა, თუ როგორ ფინანსურ მოგებას მოუტანს პარიზს ოლიმპიადა.

სკეპტიკოსები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ოლიმპიური თამაშები წამგებიანი ღონისძიება და, ამდენად, მისთვის არ უნდა ვიბრძოლოთ, როცა გამოკვლევის შედეგად მიღებულ ციფრებს გაეცნობიან, უთუოდ სახტად დარჩებიან.

ამ გამოკვლევის შედეგად, ოლიმპიური თამაშები საფრანგეთის ეკონომიკაზე, როგორც პირდაპირ, ისე ირიბადაც დადებითად იმოქმედებს.

თუ პირდაპირ ხეირზე ვისაუბრებთ, უნდა ითქვას, რომ საოლიმპიადოდ მოსამზადებელ პერიოდში საფრანგეთის ეკონომიკა 6 მილიარდი ევროთი გაიზრდება (მათგან 2 მილიარდი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ბიუჯეტის შემადგენელია), რაც 2011-2012 წლებში მომსახურეობის სფეროსკენ წარიმართება.

ამის პარალელურად, დაახლოებით 2 მილიარდი ევრო გამოიყოფა ინფრასტრუქტურის (ოლიმპიური სოფლის, სპორტული ბაზების მშენებლობა და ასე შემდეგ) დასახვეწად.

ათენისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების გამოცდილებიდან გამომდინარე, ეს ინვესტიციები არ წარმოადგენენ შედარებით მნიშვნელოვან თანხას. თუმცა, უნდა, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ პარიზი უკვე ფლობს ოლიმპიადის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას. სპორტულ ნაგებობათა 65, სასტუმროებისა და სატრანსპორტოს ინფრასტრუქტურის 95 პროცენტი უკვე მზადაა ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ. ამიტომაც ის 2 მილიარდი ძირითადად სამშენებლო სფეროს მოხმარდება.

2012 წლის ოლიმპიური თამაშების შემოსავლიდან 1,8 მილიარდი ევრო, სპორტის სფეროს შეემატება მრავალრიცხოვანი სპორტული ღონისძიებებიდან, აგრეთვე სპორტის სფეროში მოთხოვნილებათა გაზრდის შედეგად.

და ბოლოს, 150 მილიონი ევრო საფრანგეთის ეკონომიკას შეემატება პარიზში მთელი მსოფლიოდან ჩასული გულშემატკივრებისგან.

ვარაუდობენ, რომ ამ შემოსავლების 75 პროცენტი კერძო არხებიდან იქნება. ამას გარდა, ამ ინვესტიციათა წყალობით შეიქმნება 60 000 მუდმივი სამუშაო ადგილი.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ოლიმპიური თამაშები იმისთვისაცაა მოწოდებული, რომ საფრანგეთის ეკონომიკაზე ირიბადაც იქონიოს კეთილისმყოფელი გავლენა. ეს არის იმპულსი, რომელიც განავითარებს საფრანგეთის ტურიზმსა და სპორტის ეკონომიკას. ამის წყალობით საფრანგეთის ეკონომიკა 5 მილიარდი ევროთი გაიზრდება (2,6 მილიარდი ევრო სპორტის ეკონომიკაში და 2,4 მილიარდი ევრო ტურიზმის სფეროში). ამას გარდა შეიქმნება 42 000 სამუშაო ადგილი (20 500 სპორტის სფეროში და 21,500 ადგილი ტურიზმის სფეროში).

პარიზში ელიან 7 მილიონ ტურისტს, რაც წლიურ შემოსავალს 2,4 მილიარდი ევროთი გაზრდის და 21 500 კაცს დაასაქმებს.

როგორც სხვა ქალაქებისა და ქვეყნების მაგალითი მოწმობს, ოლიმპიური თამაშების გამართვა დაუყოვნებლივ იწვევს სპორტში მომეცადინეთა რაოდენობის ზრდას. მაგალითად, სიდნეიში ამგვარმა ზრდამ 27 პროცენტი შეადგინა და ქვეყანაში სპორტსმენთა რაოდენობა 14 პროცენტით გაიზარდა.

მთლიანობაში საფრანგეთი პირდაპირ თუ ირიბად ოლიმპიური თამაშების მასპინძლობით 11 მილიარდ ევრომდე მოგებას მიიღებს.

ერთი სიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ ფრანგებმა იციან, რაზეც მიდიან და, ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ მას თვლიან ოლიმპიური თამაშებისთვის გაჩაღებული ბრძოლის ფავორიტად.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




AFP პარიზიდან

## მოდით, ყველამ ვირბინოთ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სეოკ-ის თბილისის ორგანიზაცია, დედაქალაქის სპორტის სამსახური და ფირმა „კოკა-კოლა" საერთაშორისო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით გიწვევთ გარბენში მონაწილეობის მისაღებად.

გარბენი, ადრე გამოცხადებული ჭავჭავაძის პროსპექტის ნაცვლად, სტარტს აიღებს რესპუბლიკის მოედნიდან 26 ივნისს, კვირას, 10 საათზე, ფინიში კი იქნება თავისუფლების მოედანზე.

გარბენის პირველ 2 500 მონაწილეს, რომელიც გამოცხადდება სტარტზე, გადაეცემა ოლიმპიური მაისურა და „ბენდენა", ხოლო ფინიშზე მისულნი დაჯილდოვდებიან სუვენირებით.

გარბენში მონაწილეობის მსურველებმა მიმართეთ თბილისის სპორტის სამსახურს 24 ივნისამდე.

# უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

### პირველი წრე

#### კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:3 6:3 6:1; **მარატ საფინი** (5, რუსეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 6:2 6:4 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ტომი რობრედო (13, ესპანეთი) 6:1 6:2 7:5; **ფერნანდო გონსალესი** (21, ჩილე) — ალან მაკინი (ბრიტანეთი) 6:3 6:4 6:4; **ტეილორ დენტი** (24, აშშ) — დიკ ნორმანი (ბელგია) 7:6 (7:4) 7:6 (7:4) 4:6 6:7 (7:9) 6:1; **ნიკოლ კიფერი** (25, გერმანია) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 7:6 (7:5) 5:7 3:6 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (26, ესპანეთი) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 5:7 7:6 (10:8) 6:7 (5:7) 6:2 6:4; **მიხაილ იუჟნი** (31, რუსეთი) — მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) 6:2 3:6 6:1 6:4; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3 4:6 6:2 6:1

#### ქალები

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:0 6:2; **ამელი მორეზმო** (3, საფრანგეთი) — მელინდა ჩინკი (უნგრეთი) 6:3 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — რებეკა ლეველინი (ბრიტანეთი) 6:0 6:1; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — კატერინა ბომოვა (ჩეხეთი) 5:7 7:6 (7:4) 6:4; **ანტონელა სერა ძანეტი** (იტალია) — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:4 6:7 (7:9) 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (13, რუსეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2 6:2; **კიმ კლაისტერსი** (15, ბელგია) — კეტი ობრაიენი (ბრიტანეთი) 6:2 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (17, სდჩ) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:4 6:2; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — აი სუგიამა (23, იაპონია) 6:2 2:6 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (27, ჩეხეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:3 3:6 6:3; **დინარა საფინა** (30, რუსეთი) — სანდა მამიჩი (ხორვატია) 6:3 6:4; **სანია მირზა** (ინდოეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:3 3:6 8:6



ლინდსი დევენპორტი



ლეიტონ ჰიუიტი

AFP ლონდონიდან

# პირველი ნაბიჯები ნაზ ბალახზე

**ამჟამის** პირველოსანმა და ორგზის ტიტულდამცველმა როჯერ ფედერერმა უიმბლდონობა სწორედ ისე დაიწყო, როგორც რომ ამას მოელოდნენ კიდეც — ანუ ჰეროვნად, დარდიმანდად და ბარაქიანად. ფრანგი პოლ-ანრი მათიო საზოგადოდ ჩასპანდ მეჩოგნეთა რიგს არ განეკუთვნება და რაკილა ბალახსაც თიხნარი ურჩევნია, 23 წლის შვეიცარიელისთვის მისი გაიმასქნება დიდი პრობლემა არ ყოფილა. ფედერერმა მატჩი პირველი გათამაშებიდან საათისა და 49 წუთის თავზე მოაყომარა და მათიოს რომ ამით მათ მეორე დაპირისპირებაში მეორედვე სძლია, თანვე ზედიზედ უკვე 30-ე საბალახსაფრო გამარჯვებაც მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ ამაზე გრძელი მომგებიანი ბალახსერია ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე მხოლოდ ლეგენდარულ შვედ ბიორნ ბორგს ჰქონია — 1976-1981 წლებში მან კორტზე ზედიზედ 41 შეხვედრა მოიგო.

„ეს რიგიანი სტარტი იყო — ამბობდა ნამატჩევს როჯერი — პირველი ნაბიჯის დამაჯერებლად გადადგმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მიხარია, რომ სწორედ ასე დავიწყე. ამ გამარჯვებამ წინასატურნირო მღელვარებაც თან გაიყოლა და მომდევნო მატჩს უკვე სიამოვნებით ველოდები." მომდევნო მატჩში კი — ბარემ ამასაც გეტყვით — ზეგარდმო უსტაბაში ჩეხ ივო მინარს შეხვდება (ვინაც თვისტომ მიხალ ტაბარას აჯობა).

სხვაფრივ — ფედერერის დარად რიგიანად დაიწყო უიმბლდონის 2002 წლის ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა. კისკასი ოზბიჭი, რომელმაც ჯერ ფეხის თითზე გადატანილი ოპერაციის, ხოლო მერმე შინ ნეკნების უცაბედად დაზიანების გამო ბოლო სამ თვეში მხოლოდ სამი შეხვედრა გამართა, სასურველი ფორმისგან ერთობ შორსაა, თუმცა — არც იმდენად, კრისტოფ როხუსს სეტისწაუგებლად რომ ვერ გაუსწორდეს. ჰიუიტმა ბელგიელი მეტოქე ეისებითაც დააწიოკა და ბადესთან ნაყოფიერი გარჯითაც დათრგუნა და თან დაცვის ხაზზეც ისე ჯარასავით იბრძოდა, სანამ მატჩებისას რომ იცის ხოლმე.

„ბალახი ჯერ ძალიან ნაზია — იძახდა 24 წლის ოზბიჭი მერე, — მაგრამ უახლოეს ორ კვირაში ის ასწრაფდება და მეც უფრო გავალღებ. ნეკნები არ მაწუხებს. ამ მატჩამდე და მატჩის დროის საერთოდაც მხოლოდ ნერვები მაწუხებდა. მაგრამ ახლა ეს საქმე უკვე მოგვარებულია და ასწორებს, რომ ეს მცირე ცნერვის ხარჯზე მოხდა."

დამაჯერებელი გამარჯვებით გაიმეორწრუვა თავის მე-12 უიმბლდონობაზე მოჩოგნავე ლინდსი დევენპორტმა. დიაცთა 29 წლის პირველოსანმა 41 წუთში შეძლო რუსი ყმაწვილქალი ალინა ჟიდკოვა და მორიგ წრეში გასვლა ამაზე ძალიან მეტი არც თუ ისე ჯემი ჯეკსონს მოანდომებს.

ლინდსიზე ოდნავ მეტი დაჰყო კორტზე ამელი მორეზმომ, რომელსაც ასევე უსახელო მეტოქე შეხვდა უნგრელი ჩინკის სახით. ამ წლეულს ისედაც [illegible] ხვაისია [illegible] რჩა ნეხ კატერინა ბომოვას რუსმდედრთა [illegible] შემობრუნება მხოლოდ [illegible] ტის ტაიბრეიკზე შეძლო. [illegible] აქვე უნდა ვთქვათ, რომ [illegible] მოგაზე არანაკლებ ის [illegible] კვანმა მხარდა დაამარცხა.

# სუპერმარიას მილიონები

**ეს ისტორია** უკვე ლეგენდადაა ქცეული და მის შესახებ მხოლოდ იმ ხალხმა არ იცის, ვისაც ჩოგბურთი სულ ჩოგანზე ჰკიდია — 1994 წელს მარია შარაპოვას მამამ 700 დოლარი ისესხა, რათა თავისი 11 წლის გოგოცუნა ფლორიდაში, ნიკ ბოლეტიერის უცნობილეს საჩოგბურთო აკადემიაში წაეყვანა.

მილეთმა ამ ისტორიის გაგრძელებაც ჩინებულად უწყის — მამის ამ მცირე ინვესტიას ქალიშვილმა მრავალმილიონიანი მოგებები მოატანინა.

თავისი არაუბრალო, მომხიბლავი გარეგნობითა და ასაკისთვის შეუფერებლად გონივრული და მძლავრი ბურთაობით 17 წლის მაშა საზოგადოებისა და ზორბა ფირმების ყურადღებას შარშანდელ უიმბლდონობამდეც იქცევდა, მაგრამ იმ ტურნირის მოგების შემდეგ მისმა ლოლომარწყვა ღიმილმა და კენარმა სხეულმა უკვე ერთბაშად მიიზიდა მილიონობით დოლარი.

MOTOROLA განსაკუთრებით მოხიბლა იმ ფაქტმა, რომ მაშა ფინალის მოგებისთანავე მობილურს ეცა და მშობელ დედას შეეხმიანა. ბოლოლა ფირმას დიდხანს არ უფიქრია — მან მაშასთან შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ძალითაც რუსგოგონა ყოველწლიურად მილიონ დოლარს იჯიბავს. ყოველწლიურადვე ერთი მილიონი ერგება მას TAG HEUER-ის, RARLUX FRAGRANCES-ისა და NIKE-ისაგან, შედარებით ნაკლებს, 800 ათასს გამოდის PRINCE, ხოლო CANON და COLGATE-PALMOLIVE მას ორ-ორ მილიონს უხდიან.

TAG HEUER აპირებს, უახლოეს მომავალში გამოუშვას მაშას სახელობის საათი, რომელიც ბრილიანტებით იქნება მოოჭვილი და 2 ათასი დოლარი დაგიჯდებათ, მაშასავე სახელობის სუნამო კი, რომელსაც ალბათ PARLUX FRAGRANCE გამოუშვებს, დახლებზე სექტემბრიდან დაიდება და ფასისა ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, ისე კი ამბობენ, რაღა ამ სუნამოსთვის გიყნოსავს და რაღა — ჰმ, ჰმ....

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მაშას ცხოვრება ახლა ერთობ დატვირთული და ჩაბიზნესებულია, მაგრამ როგორც თავად აღიარებს, ის საამისოდ იმ დღიდანვე ემზადებოდა, რაც რომ ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში ჩოგანი შედგა.

„მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ხალხი ჩემგან რაღაც კარგს ელოდა — ამბობს მაშა — და ამიტომ ნიადაგ ვცდილობდი, მათი მოლოდინი არ გამეცრუებინა. ვფიქრობ, ეს ადრეც კარგად გამომდიოდა და ახლაც, როცა შეუდარებლად უფრო დიდი ყურადღების ცენტრში ვარ, თაყვანისმცემელთა რაოდენობა ყოველდღიურად მეზრდება, ქუჩაში მცნობენ და ახალი საკონტრაქტო შემოთავაზებებსაც ბოლო არ უჩანს."

საქმეში ჩახედული ხალხი კივარაუდობს, რომ წლეულს მაშას შემოსავალი 20 მილიონ დოლარს მიუკაკუნებს. ასეთი ზორბა ნაღები კი აქამდე არც ერთ ქალ მეჩოგნეს არ მოუხსნია. სერენა უილიამსმა, ვინაც აქამომდელ რეკორდსმენად ითვლებოდა, შარშან ოდენ ამის ნახევარი მოერეწა.



AFP ლონდონიდან

ჭადრაკი

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) |
| ალექსეი ფედოროვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| რაფაელ მამედოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ბადურ ჯობავა (საქართველო) |
| დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 1:0 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) |
| გავინ ჯოუნსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0,5:0,5 | დავით მაღალაშვილი (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 1:0 | იოანა დვორაკოვსკა (პოლონეთი) |

# დიმიტრი ივანჩუკი ოცდაერთში წინ ჩაჯდა

**ხუთი** ყაიმი, ერთი მოგება და ერთიც წაგება, ასეთია ქართველთა მონაგარი მეორე ტურში.

ჩვენებურთაგან ყველაზე კარგი შედეგი კვლავ ლევან ფანცულაიას და მერაბ გაგუნაშვილს აქვთ, თუმცა თავიანთი 1,5-1,5 ქულებით საკმაოდ ჩამორჩებიან ლიდერთა ჯგუფს.

პირველ ადგილზე პრეტენზიას კი ორ-ორი ქულით ჯერჯერობით 21 მოჭადრაკე აცხადებს და მათ შორის ფავორიტი ევროპის შარშანდელი ჩემპიონი უკრაინელი ვასილ ივანჩუკია.

მეორე ტურში უკრაინელი დიდოსტატი ჩემპიონატზე 78-ე ნომრად განთესილ ბელარუს ვლადიმერ ჩუჩელოვს დაუპირისპირდა. მეტოქეებმა დებიუტში F ხაზზე მხედრები გამოიყვანეს. თამაშის სადავეები ივანჩუკმა თავიდანვე იგდო ხელთ, ცენტრში ფიგურები განავითარა, რამდენიმე მძიმე დარტყმა მიაყენა მტერს და 24-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

**ლაშა გეგეჭკორი**

მძლეოსნობა

# შეხედე, დედამიწავ, ეს კოზო ჰარაგუჩია!




**95 წლის** კოზო ჰარაგუჩიმ 100 მეტრზე რბენაში თანატოლების მსოფლიოს რეკორდი დაამხო — დისტანცია 22,04 წამში გაირბინა. ძალიან საინტერესოა, რომ ეს რეკორდი, ქალაქ მიაზაკიში, წვიმაში დამყარდა. სააგენტო „ჯიჯი ენდ კიოდოს" ცნობით, წინა რეკორდი ავსტრალიელ მოხუცს ეკუთვნოდა, და 22.11 წამი გახლდათ. ერთი ეს არის, ავსტრალიელი მოხუცის ვინაობას არ გვახსენებენ.

„წვიმაში პირველად ვირბინე — ბრძანა ტრიუმფატორმა — თავს მთელი გზა ვუჩიჩინებდი, ფინიშამდე არ უნდა წაიქცე-მეთქი."

ახლა ორიოდ დეტალიც: ეს რეკორდი, როგორც მოგახსენეთ, ჰარაგუჩის თანატოლთა ანუ 95-99 წლების კატეგორიისაა. 2000 წელს იმავ ჰარაგუჩიმ დაამყარა 90-94 წლიანთა რეკორდი, 18,08 წმ, ხოლო სამომავლოდ საუკუნიანთა შეჯიბრებაში აპირებს გამარჯვებას, თუმცა... ერთი, რომ თავად დაამატა, სანამ შევძლებ, მანამ ვიბრძოლებო და მეორეც, საუკუნის ხალხი კი არა, ამ რეკორდის დროსაც მარტო იყო სარბენ ბილიკზე.

**ტუტა სიხარულიძე**

მძლეოსნობა

# ქალბატონებო და ბატონებო ანუ რუსებო და გერმანელებო

## შაბათ-კვირა ფლორენციაში

**გერმანელმა** კაცებმა ევროპის თასი შეინარჩუნეს, თუმცა საამისოდ ფრანგებთან გვარიანი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. ტიტული შეინარჩუნეს რუსმა ქალებმაც, რომელთა გუნდში ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი გამოდიოდა. ახლა რუსები ზედიზედ ცხრაგზის თასიანები გახლავან, ხოლო შეჯიბრება, რომელზეც მოგახსენებთ, ფლორენციაში გასულ უქმეებზე გაიმართა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპელი მძლეოსნებისთვის მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციად იქცა.

გერმანელებმა 20 დისციპლინის ჯამში 113 ქულა მოიპოვეს და ცხრა ქულით ჩამოიტოვეს ფრანგი კაცები, რომელთაც, თავის მხრივ 98 ქულიან იტალიელებს აჯობეს. აქვე უნდა ითქვას, რომ მასპინძლები მესამე ადგილით სრულიად ბედნიერები დარჩნენ.

ქალების და ქულების ამბავი კი ასე იყო: რუსის გოგოებმა 131,5 ქულა მოაგროვეს და ერთმანეთთან მოქიშპე პოლონელებსა და გერმანელებს დაუმტკიცეს, რომ მათზე ერთი თავით მაღლა დგანან — პოლონელთა შედეგი იყო 94, ხოლო გერმანელთა 93 ქულა.

დასაწყისი კი ფრანგ კაცებს ჰქონდათ ეფექტური. 110 მეტრზე თარჯრბენში დარბაზთა ჩემპიონმა ლაჯი დუკურმა 13,16წამის ტოლი შედეგით იოლა მოიგო პირველი ოქრო. მან უკან გერმანელი თომას ბლაშეკი და იტალიელი ანდრეა ჯაკონი ჩამოიტოვა.

„პირველივე წინაღობას მთელი ძალით შევუტიე და ვცადე რიტმი ბოლომდე შემენარჩუნებინა. ტექნიკური თვალსაზრისით ჩინებული რბოლა გამომივიდა, — განაცხადა 22 წლის დუკურმა, რომელმაც ეს ტიტული ამავე „ლუიჯი რიდოლფის" სტადიონზე ორი წლის წინაც მოიგო.

„უკვე ახალი მიზნები დავისახე, — განაგრძო მან, — ერთი სული მაქვს, როდის შევეჯიბრები მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ალენ ჯონსონსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლიუ ქიანგს."




ხესუს ესპანია




კრისტინ არონი



ჩარლზ ფრიდეკი

ღირსეულად გამოვიდნენ საშუალო დისტანციებზე ტრადიციულად ძლიერი ესპანელებიც. შეჯიბრების პირველ და მეორე დღეს მათ სამი ოქრო მოიგეს, ხოლო ანტონიო მანუელ რეინამ 800 მეტრზე გაიმარჯვა. მისი შედეგი გახლდათ 1:46.11. რეინამ გარბენს თავი და ბოლო პირველივე წრის მიწურულს გაუგო და ისე გაისარჯა, რომ მისმა პოლონელმა კონკურენტმა გრეგორჟ კრჟოშეკმა რუს დმიტრი ბოგდანოვთან ერთად ერთხელაც ვერ მოახერხა ტიტულზე რეალური პრეტენზიის გამოთქმა.

„დღეს ძალიან მოხერხებულად გავიმარჯვე. პირველსავე წრეზე ძალიან სწრაფად გავიქეცი" — განაცხადა გამარჯვებულმა.

შევჩერდეთ ხესუს ესპანიას 3000 მეტრზე მოპოვებულ ოქროზეც. მისი შედეგი გახლდათ 7:16.48 რითაც ჩემპიონმა ბრიტანელი მოჰამედ ფარაჰი და პოლონელი იარედ შეგუმო ჩამოიტოვა უკან.

სიტყვამ ბრიტანეთი მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ გაერთიანებული სამეფოს გუნდმა ფლორენციაში ძალიან ცუდად იასპარეზა. ბრიტანელთა ცუდ გამოსვლას პირი მეტად თუ ნაკლებად 200 მეტრზე რბენასა და 4X400 ესტაფეტაში გამარჯვებამ მოწმინდა. 200 მეტრზე რბენაში საკმაოდ შთამბეჭდავად გაიმარჯვა ევროთასის ორგზის მფლობელმა კრისტიან მალკოლმმა, რომლის შედეგიც გახლდათ 20,15.

„ნამდვილად არ მეგონა დღეს ასე სწრაფად თუ გავიქცეოდი, — აღნიშნა გარბენის შემდეგ გამარჯვებული, — რაც მოხდა, ძალიან კარგია."

თარჯრბენში ტიმ ბენჯამინმა პოლონელი, 400 მეტრზე რბენის ოლიმპიელი ფინალისტი მარეკ პლავგო ჩამოიტოვა უკან, მაგრამ საბოლოოდ ბრიტანელები მაინც მეშვიდე ადგილზე გავიდნენ, რამაც გუნდის ლიდერს, დეივ კოლინზს ასე ათქმევინა:

„ცხადია, ძალიან დაგვწყდა გული, მაგრამ მართლა გავიჭირეთ და ვერ ვივარგეთ. მოკლედ, დღეს ჩვენ დამარცხებულები ვართ, მაგრამ სხვა გზაც არა გვაქვს, გაწნული სიცა უნდა მივიღოთ და ცხოვრება განვაგრძოთ."

მოედნის დისციპლინებში ფლორენციელი ქომაგების გული ჯუზეპე ჯიბილისკომ გაახარა, რომელმაც ჭოკით ხტომაში გაიმარჯვა — 5.80 მეტრს გადაევლო, ხოლო შუბის სხვებზე კარგად გერმანელმა მარკ ფრანკმა ტყორცნა. მისი შედეგი გახლდათ 82.38 მეტრი. სამხტომში ევროთასის მფლობელი ფრანკის თანამემამულე ჩარლზ ფრიდეკი გახდა — 17.20მ.

ქალთა ამბებიდან მოდი ვეტერანი ფრანგი სპრინტერის, კრისტინ არონის გამარჯვება აღვნიშნოთ როგორც 100 ასევე 200 მეტრზე რბენაში, რის შემდეგაც არონმა განაცხადა, რომ ძალიან გაუჭირდა.

„ნამდვილად გამიჭირდა, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ ამ უქმეებზე ორი გამარჯვება მოვიპოვე. ახლა მთელი სეზონი შემიძლია ნერვიულობის გარეშე ჩავატარო." — ბრძანა ვეტერანმა.

**ტუტა სიხარულიძე**



# ბებერი ხარები

## ტარვერმა დანაპირები აასრულა

**კრივის** საერთაშორისო ორგანიზაცია IBO-ს ქვემძიმე წონაში ახალი ჩემპიონი ჰყავს. გასულ უქმეებზე ამერიკელმა ანტონიო ტარვერმა იამაიკელ გლენკოფ ჯონსონთან შარშანდელი მარცხის გამო რევანში აიღო. ბრძოლის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს. ტარვერმა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით კი მოიგო, მაგრამ უმცირესი უპირატესობით — 116:112 (ორ მსაჯთან) და 115:113 ერთთან.

ჯონსონიც და ტარვერიც 36-36 წლის მოკრივეები არიან და პირველ რიგში ორივე იმითაა ცნობილი, რომ რამდენიმე წლის წინათ როი ჯონსი დაუმარცხებიათ. ამიტომაცაა, დღეისთვის ქვემძიმე წონის (79,4 კგ-მდე) უძლიერეს მოკრივეებად რომ მიიჩნევიან, თუმც როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ არც ერთი მთავარი ვერსიის ქამარი არ მოეპოვებათ და ოფიციალური მონაცემებით მსოფლიო კრივის მეოცეხარისხვან ფიგურებად მიიჩნევიან.

ტომაშ ადამეკი, ფაბრის ტიოზო, კლინტონ ვუდსი და ჟოლტ ერდეი — აი, ყველაზე გავლენიანი საკრივო ორგანიზაციების ფავორიტები. მხოლოდ ავტორიტეტული ჟურნალი „THE RING" აღიარებს უძლიერესად ჯონსონს, ხოლო პირველ პრეტენდენტად ტარვერს.

ამ წყვილის წინა დაპირისპირება 2004 წლის 18 დეკემბერს ლოს ანჯელესში შედგა და მაშინ ტარვერმა მსაჯების საკამათო განაჩენის გამო წააგო. 12 რაუნდის შემდეგ ერთმა მსაჯმა მას 116:112 მოაგებინა, მაგრამ დანარჩენი ორი იამაიკელის მხარეს დადგა — 115:113. გულგატეხილმა ამერიკელმა მყისვე რევანში მოითხოვა.

შაბათის შეხვედრამდე ტარვერის შანსები საბუქმეიკერო კანტორებმაც უფრო რეალურად შეაფასეს და სპეციალისტთა დიდი ნაწილიც მის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ამას თავად მოკრივის საოცარი თავდაჯერებულობაც ემატებოდა. „ჩემი და ჯონსონის წინა ბრძოლაზე ბევრი საუბარი შეიძლება, მაგრამ იმ შედეგზე უკვე აღარ ვფიქრობ — ამბობდა ანტონიო — ამჯერად მეტოქეს ისევ დავამარცხებ, ზედმეტი სიტყვა არავის ეთქმოდეს".

თამამი განცხადების გაკეთების ერთ-ერთ საბაბად ტარვერმა ბრძოლის მასპინძელი დარბაზის „მაგია" ახსენა. „თუ მემფისი აქამდე ხალხს ჯონსონისგან როი ჯონსის ძლევის გამო ახსოვდა, ახლა იმავ ჯონსონის ჩემგან გვემის გამო დაიმახსოვრებენ" — დასძინა აწ უკვე ჩემპიონმა შეხვედრის წინ, პრესკონფერენციაზე.

თავისი გეგმის განხორციელება ამერიკელმა პირველივე რაუნდიდანვე დაიწყო და მალე აშკარა უპირატესობასაც დაეუფლა, მაგრამ მეხუთე რაუნდისთვის იამაიკელი გამოცოცხლდა. სხვაობაც თანდათან მცირდებოდა, თუმც მეექვსე-მეშვიდე რაუნდები ისევ ტარვერისა იყო. ჯონსონმა საბოლოოდ მცირე სხვაობით რომ წააგო, ეს ბოლო ხუთ რაუნდში მისი თავდადებული შეტევების დამსახურებაა. მეთერთმეტე-მეთორმეტე რაუნდებშიც კი იაქტიურა, მაგრამ მთლად ისე ვერა, როგორც მანამდე, თორემ იქნებ მსაჯებს საპირისპირო შედეგიც დაეფიქსირებინათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**






# მოკრივე ქალი მოკრივე კაცის მოლოდინში

**მსოფლიოს** ერთ-ერთმა უძლიერესმა მოკრივე ქალმა ენ ვულფმა განაცხადა, რომ უკვე ზუსტდება განსაზღვრული მისი ბრძოლის დრო და ადგილი... მოკრივე მამაკაცთან. ეს ბრძოლა გაიმართება ამერიკის ქალაქ ბილოქსიში 20 აგვისტოს.

იუწყებიან, რომ მისისიპის შტატის საკრივო კომისიამ უკვე გასცა სანქცია ამ ბრძოლის ჩატარების თაობაზე და ვულფის მოშიშვლა მოწინააღმდეგე უახლოეს დღეებში გამოხადდება.

გვპირდებიან, რომ მოკრივე ქალის მეტოქე იქნება საკმაოდ ძლიერი მოკრივე მამაკაცი, რომელსაც პროფესიულ რინგზე გამოსვლის გამოცდილება ექნება.

თავად ვულფი მამაკაცის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს იმით ხსნის, რომ აქამდე მასთან შეხვედრაზე თავს იკავებდა ყველა უძლიერესი მოკრივე ქალი, მათ შორის მის წონაში გადედოფლებული ლეილა ალი, რომელიც სახელგანთქმული მოკრივე მამის მუჰამედ ალის შვილია.

მას შემდეგ, რაც ენ ვულფმა ერთი დარტყმით ძირს დასცა და ნოკაუტში ჩააგდო ტანად თავისზე დიდი და ჯანიანი ვალდა [illegible], ყველანი დაუფარავად გაურბიან გამარჯვებულთან შეხვედრას.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ახალი კურნიმანია



**უახლოეს ხანში** ეტყობა სპორტულ სამყაროს ახალი „კურნიმანია" შეიპყრობს. ოღონდ ამჯერად პოდიუმის კვარცხლბეკზე ასასვლელად მზადაა ამერიკელი მეგოლფე ნატალი გულბისი.

ამ ახალგაზრდა სპორტსმენს უკვე ახლა შეუძლია თავი მოიწონოს არამხოლოდ თავისი სპორტული წარმატებებით, არამედ ფრიად შთამბეჭდავი სამოდელო მონაცემებითაც. ამიტომაც სრულებითაც არ იყო მოულოდნელი, რომ მან მიიღო ზედმეტსახელი „მსოფლიო გოლფის ანა კურნიკოვა".

საინტერესოა, რომ სხვა ახალგაზრდა ლამაზმანი სპორტსმენებისგან განსხვავებით, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ თუნდაც მცირეოდენ შედარებას ყოფილ რუს ჩოგბურთელთან, ასეთი პერსპექტივა ამერიკელ მეგოლფეს, პირიქით, სიამოვნებს კიდეც.

„მე მსიამოვნებს, რომ ანა კურნიკოვასთან მადარებენ. კურნიკოვა ძალიან პატივმოყვარე ადამიანია, რომელიც საქმის ცოდნით იყენებს თავის გარეგნობას" — თქვა 22 წლის კალიფორნიელმა, ქერა ნატალი გულბისმა.

სხვათა შორის, გულბისი და კურნიკოვა ერთი ხნისანი არიან. ნატალი 1983 წლის 7 იანვარს დაიბადა საკრამენტოში. 4 წლისამ უკვე ხელში დაიკავა გოლფის ყვანჯი, ხოლო 7 წლისა მონაწილეობდა თავის პირველ ტურნირში. ახლა ნატალი — მის გვარს კი ვარაუდობენ, რომ ყოფილი სსრკ კავშირის მოქალაქეებთან უნდა ჰქონდეს კავშირი — მეორე ადგილზეა თავის სახეობაში ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა შორის. წლის დასაწყისიდან ამ მეგოლფე გოგოს ბიუჯეტი 200 ათასი ევროთი შეივსო. პარალელურად გულბისი დაკავებულია სამოდელო ბიზნესით და მას კონტრაქტი აკავშირებს ქვედასაცვლეულის რეკლამასთან. ამას გარდა, ნატალის აქვს თავისი ოფიციალური საიტი ინტერნეტში და სატელევიზიო პროგრამაც.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# მეფის თასი

მადრიდის ახლო,
ვილანოვა დელ პერდიოში
საჰაერო ბურთების
სამეფო თასს ათამაშებენ.
ეს უმსუბუქესი
მფრინავი კი
თითქოს ჯინაზე
ეტოქება მშვიდ
მეჰაერეებს.



AFP ვილანოვა დელ პერდიოიდან

# ფრანჩესკომ იქორწინა

რომაელი გოგოები გმინავენ. ფრანჩესკო ტოტიმ იქორწინა. პატარძალს, ცხადია, არაფერი დაეწუნება. მას ისედაც მთელი იტალია იცნობს — ჰილარი ბლაზი ტელევარსკვლავია.



AFP რომიდან



AFP დანედინიდან

# თავგადასავალი გრძელდება

ბრიტ და ირლანდიელ ლომთა მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი დანედინში ბიჭუნას უცინის. აქ ლომებმა ოთავოს სძლიეს და ახლა საუთლენდისკენ მიემგზავრებიან.

# ედის დღე

60 წლისა მოყრილა
დიადი ბელგიელი
ველომრბოლი
ედი მერქსი.
ტორტი იმხელა
გაუმზადებიათ, რომ
თქვენი მოწონებული.
ტურ დე ფრანსის
ხუთგზის მომგები
ადრე თბილისშიც
კი ყოფილა,
23 წლის წინათ
„ანდერლეხტი“ —
„სპარტაკის“ მატჩზე.



AFP ბრიუსელიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლევან ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კელაურაძე
ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე
თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge